საქართველო

გაზეთის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№98 (9778) 2024 წლის 28 აგვისტო. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი



ოჯახისა და ზნეობის კრიზისი საქართველოში

6–7

დემოგრაფ ანზორ თოთაძის საგანგაშო შეფასებები ქვეყნის მთავარ პრობლემაზე



7

გილოცავთ, მარიამობას!

ალიარება



აკადემიკოსი როინ მეტრეველი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის წევრად აირჩიეს

კახა კალაძე: საარჩევნო კამპანიაში ვერავინ ჩაერევა, ვერც – რუსეთი, ვერც – ამერიკა და ვერც – დასავლეთი!

რუსეთის საგარეო დაზვერვა აცხადებს, რომ აშშ საქართველოში „ფერად რევოლუციას“ ამზადებს

იხ. მე-4 გვ.

ჩვენი უბადრუკი ოპოზიციაც ხომ მხოლოდ ამისთვის ემზადება?!

თბილისს ერეკლე მეორის ძეგლი დაამშვენებს!

2

გულნარა სტურუა

უკეთ ვისწავლოთ საკუთარი სამშობლოს მოვლა!

ოთარ ფურაბელიძე

პაპაჩემი პოლიო აბრამია



8–9

ჰეი, მამულო

ჰეი, მამულო, სათაყვანო, სიცოცხლის დარო,
შენ ხარ მარადი სასოების უშრეტი წყარო,
სულ ასე წმინდა, მოკაშკაშე აუმღვრეველი!

მე შენი მადლი მეწვეთება ამ გულში მისხლით
და შენით მიდგას პირში სული, ძარღვებში – სისხლი,
შენგან მხნეობს ეს მარჯვენაც დაუძლეველი!

შენს ძახილს ვუსმენ! მე სხვა ფიქრი არ მეკარება,
ხარ – სიხარული, ხარ – სიცოცხლე, ხარ – ნეტარება!

თბილისს ერეკლე მეორის ძეგლი დაამშვენებს!

საქართველო გამოირჩევა ეკონომიკური ზრდით არამარტო რეგიონში, არამედ ევროპის ქვეყნებს შორის მთლიანად და ის არის ნომერ პირველი ამ მაჩვენებლით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის 26 აგვისტოს სხდომაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რამდენიმე დღის წინ სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა დასაქმების და, შესაბამისად, უმუშევრობის მონაცემები და უმუშევრობა ისტორიულ მინიმუმზეა.

– მეორე კვარტლის მონაცემების მიხედვით, უმუშევრობა არის ისტორიულ მინიმუმზე, დაფიქსირდა 13,7 პროცენტი, შარშან ანალოგიურ პერიოდში უმუშევრობა შეადგენდა 16,7 პროცენტს. ეს ნიშნავს იმას, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირდა 3 პროცენტული პუნქტით, რაც არის განსაკუთრებული პრიორიტეტი ჩვენთვის. დაქირავებულ დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 19 100 ადამიანით, თვითდასაქმებულთა რაოდენობა – 41 300-ით. ერთი წლის განმავლობაში შეიქმნა 60 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, რაც არის მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგი. წინა სამი წლის განმავლობაში ჩვენ საშუალო ეკონომიკური ზრდა გვქონდა 9,7 პროცენტი, წელსაც ვინარჩუნებთ 9-პროცენტიან მაჩვენებელს და, ვფიქრობთ, წლის ბოლოს გვექნება ძალიან კარგი მაჩვენებელი ამ კუთხით. რა თქმა უნდა, სწორედ ეკონომიკური ზრდა არის მთავარი ფაქტორი, რომელიც იძლევა უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის საშუალებას. მეტი დასაქმებული ნიშნავს ბიუჯეტში შეტანილ მეტ გადასახადს, რაც მთავრობას მისცემს მეტი პროექტის განხორციელების, ასევე არსებული პროგრამების გაფართოების საშუალებას. მომავალშიც ეს დარჩება ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 1000-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს ახლად აშენებულ კორპუსებში ბინები გადაეცემა. პრემიერის თქმით, პროექტისთვის შესაბამისი თანხები ბიუჯეტში მომავალი წლიდანაც იქნება გათვალისწინებული.

– ქართულ ჯარზე ბრუნვა არის საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული პრიორიტეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების დაფასებას. ამ კუთხით არის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა – 1000-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს გადაეცემა ბინები ახლად აშენებულ კორპუსებში. მადლობა თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის მინისტრს იმისთვის, რომ ეს პროგრამა წარმატებით მივიდა ბოლომდე. პროგრამა უნდა გაგრძელდეს და მინდა, ვთხოვო თავდაცვის მინისტრს, მოამზადოს შემდეგი ეტაპის გეგმა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო მეტ სამხედრო მოსამსახურეს გადავცეთ ბინები ახლად აშენებულ კორპუსებში. ბიუჯეტში შესაბამისი თანხები იქნება გათვალისწინებული მომავალი წლიდანაც, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება კახეთის გზატკეცილზე ერეკლე მეორის ძეგლის აღმართვასთან დაკავშირებით. როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, ხელისუფლების ვალია, სათანადო პატივი მიაგოს საქართველოს ისტორიას და ყველა გმირს.

– ჩვენი ვალია, სათანადო პატივი მივაგოთ საქართველოს ისტორიას და ყველა იმ გმირს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ჩვენი ქვეყნის წინაშე, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს ეროვნული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ჩვენი გმირი მეფე ერეკლე მეორე ამ თვალსაზრისით გამორჩეულია. მისმა თავგანწირვამ და სიბრძნემ შეუნარჩუნა საქართველოს ქრისტიანული იდენტობა, რაც არის ჩვენი ევროპული იდენტობის განუყოფელი ნაწილი და ჩვენი ეროვნული გმირის, ერეკლე მეორისთვის პატივის მისაგებად კახეთის გზატკეცილზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის მიმდებარედ, სადაც მერია ახორციელებს პარკის რეაბილიტაციის პროექტს, გადავწყვიტეთ, რომ აღიმართება ერეკლე მეორის ძეგლი მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით!..

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ მიულოცა წარმატება ქართველ ოლიმპიელებს და აღნიშნა, რომ 204 ქვეყანას შორის საქართველო 24-ე ადგილზე გავიდა, რაც ისტორიული შედეგია.

– მინდა, კიდევ ერთხელ ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, ჩვენს ოლიმპიელებს ძალიან დიდი წარმატება, რომელსაც მივაღწიეთ ოლიმპიურ თამაშებზე. ჩვენ გვქონდა იმედი, რომ ისტორიულად საუკეთესო შედეგი დაფიქსირდებოდა ამ ოლიმპიადაზე და ასეც მოხდა – 3 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაოს მედალი. ეს არის საუკეთესო შედეგი საქართველოს ისტორიაში ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და მინდა, ეს დიდი წარმატება მოგილოცოთ. ასევე დაფიქსირდა 24-ე ადგილი, რაც ისტორიულად საუკეთესო შედეგია. 204 ქვეყანას შორის საქართველო გავიდა 24-ე ადგილზე და მინდა, ყველას მოგილოცოთ ეს ძალიან დიდი წარმატება. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ვულოცავ თავად ოლიმპიელებს, მათ მწვრთნელებს, საექიმო პერსონალს და მთლიანად იმ გუნდს, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მთავრობამ სხდომაზე დაამტკიცა განკარგულება, რომლის საფუძველზეც ოლიმპიელები დაპირებულ პრემიებს მიიღებენ. ასევე გაზრდილ პრემიებს მიიღებენ ოლიმპიელების მწვრთნელები, ექიმები და ადმინისტრაციული ჯგუფის წევრები.

– ჩვენ უმაღლეს ჯილდოებზე წარვადგინეთ ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები. ჩემპიონები წარვადგინეთ წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე, პრიზიორები – ღირსების ორდენზე. ასევე დამატებით პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ოლიმპიური გუნდის კონკრეტული წევრები წარგვედგინა აგრეთვე უმაღლეს ჯილდოებზე. ესენი გახლავთ – ნინო სალუქვაძე და ლაშა შავდათუაშვილი, რომლებიც წარვადგინეთ წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე. ისინი არიან ოლიმპიური გუნდის წევრები, აქვთ გამორჩეული მიღწევები, ორივე გახლავთ სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელი, ოლიმპიური ჩემპიონი. ასევე ისინი არიან მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები. ამ განსაკუთრებული დამსახურებისთვის ისინი წარდგენილი არიან წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე. აგრეთვე ღირსების ორდენზე წარვადგინეთ გურამ თუშიშვილი და ლაშა მარგველაშვილი, რომლებიც არიან ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონები. ღირსების ორდენზე არიან წარდგენილი ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების მწვრთნელები. როგორც გუნდის მწვრთნელები, ასევე – პირადი მწვრთნელები – ლაშა გუჯეჯიანი, გურამ მოდებაძე, ომარ ჟორჟოლიანი, ამბაკო ავალიანი, გიორგი იანტბელიძე, დავით ხურცია, გიორგი ასანიძე, ავთანდილ გახოკიძე, ბეჟან ჭიჭინავა, ილია ტლაშაძე, ალექსი ღვინიაშვილი, კახა წიკლაური, არჩილ ბარამიძე, ლევან ქობულაშვილი, მირზა ხაბარელი, გია ობოლაძე. თითოეულ მათგანს მინდა, მადლობა გადავუხადო. ჩვენ ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია მწვრთნელის როლი სპორტსმენის წარმატებაში და, რა თქმა უნდა, თითოეულმა მათგანმა დაიმსახურა უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო, რომლებზეც ისინი არიან წარდგენილი, – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მიულოცა კოტე პეტრიაშვილს, ხოლო ვიცე-ჩემპიონობა – ნიკოლოზ მაისურაძეს. ირაკლი კობახიძის შეფასებით, ქართული სპორტი არის წარმატების გზაზე და ამ ტენდენციის ხელშეწყობისთვის ყველაფერი გაკეთდება.

– იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ოლიმპიური ჩემპიონის ძმამ კოტე პეტრიაშვილმა მოიგო ოქროს მედალი, გახდა მსოფლიო ჩემპიონი 17 წლამდელთა შორის და მინდა, მას მივულოცო ძალიან დიდი წარმატება, ასევე ნიკოლოზ მაისურაძეს მინდა მივულოცო მსოფლიო ვიცე-ჩემპიონობა.

ქართული სპორტი არის წარმატების გზაზე და, რა თქმა უნდა, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ამ ტენდენციას ხელი შევუწყოთ. დარწმუნებულები ვართ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი წარმატება ექნება ქართულ სპორტს, რისთვისაც ჩვენ ჩვენს ძალისხმევას არ დავაკლებთ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



საქართველო ადამიანის უფლებების ინდექსით ევროპაში პირველ ადგილზეა!

„გლობალური ცვლილებების მონაცემთა ლაბორატორიამ“ ოქსფორდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ადამიანის უფლებების ინდექსი 2023 გამოაქვეყნა. ინტერაქტიული ანგარიში ეფუძნება გლობალური დემოკრატიის საერთაშორისო შემფასებელი ორგანიზაცია „დემოკრატიის მრავალფეროვნების“ მასშტაბურ გამოკვლევას, რომელიც მსოფლიოს 179 ქვეყანას და ტერიტორიას აერთიანებს.

შეფასების 100%-იანი სისტემით საქართველომ 86,9% დაიმსახურა, რითაც გადაუსწრო ევროპის საშუალო დონეს, რომელიც 86,85%-ით შეფასდა.

ოფიციალური განმარტებით, ინდექსი ასახავს იმას, თუ რამდენად თავისუფალია ხალხი ხელისუფლების მხრიდან წამებისგან, პოლიტიკური მკვლელობებისა და იძულებითი შრომისგან; დაცულია საკუთრების უფლება; ხალხი სარგებლობს გადაადგილების, რელიგიის, გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებით.

შეფასების 11-წლიანი გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოში მე-9, ევროპაში კი პირველ ადგილზეა. 2012 წელს საქართველო ადამიანის უფლებების ინდექსით ევროპის უკანასკნელ სამეულში იყო რუსეთთან და ბელარუსთან ერთად და მსოფლიოში 101-ე ადგილი ეკავა, შემდგომ 11 წელიწადში კი საქართველოს სარეიტინგო პოზიცია 45 ადგილით გაუმჯობესდა.

მიმდინარე შეფასებით საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის ლიდერობს, რეიტინგში უსწრებს ნატოს წევრ არაერთ ქვეყანას, მათ შორის ევროკავშირის წევრ უნგრეთს და პოლონეთს.

„დემოკრატიის მრავალფეროვნება“ (V-Dem) არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი უშუალოდ დემოკრატიაზე.

პროექტს უძღვება 5 მთავარი გამომძიებელი, 19 პროექტის მენეჯერი, 33 რეგიონული მენეჯერი, 134-ზე მეტი კოორდინატორი და 4000-მდე ექსპერტი მსოფლიოს მასშტაბით.

ორგანიზაცია ერთ-ერთია იმ კვლევით პროექტებს შორის, რასაც მსოფლიოს ბანკის „გლობალური მმართველობის ინდიკატორები“ და ატლანტიკური საბჭოს „თავისუფლების ინდექსი“ ეფუძნება.

რაქდენ კუპრაშვილი: გაასაჯაროვეთ თქვენი გრანტების გამჭვირვალობა!

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი რაუდენ კუპრაშვილი საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მათ შორის NDI-სა და IRI-ს, გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისკენ მოუწოდებს.

„მიმდინარე საარჩევნო პროცესში უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობა, ამიტომ, მივმართავთ ყველა ორგანიზაციას, მათ შორის, NDI-ს (ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს) და IRI-ს (საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს), რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ ობიექტურ დამკვირვებლებს არჩევნებში – უზრუნველყოფილ იქნეს თქვენ მიერ გაცემული გრანტების გამჭვირვალობა იმ მიზნით, რომ დაფინანსებული ღონისძიებები არ იყოს გამოყენებული პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერად. არჩევნების დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის ნეიტრალურობა და ობიექტურობა გადამწყვეტია.

იმ მიზნით, რომ არ შემცირდეს პოლიტიკური კამპანიის ფინანსური გამჭვირვალობის სტანდარტი და ამ გზით მოქალაქეებს არ შეეზღუდოთ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: 2024 წლის 31 აგვისტომდე ყველა საარჩევნო სუბიექტმა წარმოადგინოს მიმდინარე წლის 8 თვის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია.

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაცია ეცნობება საერთაშორისო ორგანიზაციებს და ვიმედოვნებთ, რომ ყველა ეს ფაქტი აისახება სადამკვირვებლო ანგარიშებში. ანტიკორუფციული ბიურო მზად არის, კონსულტაცია გაუწიოს ყველა პოლიტიკურ პარტიას და ხელი შეუწყოს მათ კანონის მოთხოვნების შესრულებაში“.

გიორგი ამილახვარი აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას ულოცავს

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გიორგი ამილახვარი აბიტურიენტებს და მათ მშობლებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეულ წარმატებას ულოცავს. ინფორმაციას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

„გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას!

ახლა თქვენს ცხოვრებაში იწყება ძალიან საინტერესო, ამავდროულად, მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ახალ გამოცდილებებს, ურთიერთობებსა და განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს გულისხმობს.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი დგას თქვენზე – ნიჭიერ ახალგაზრდებზე და მჯერა, მიღებული ცოდნით, ასეთი შემართებითა და პროფესიონალიზმით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ საქართველოს განვითარების საქმეში.

მოხარული ვარ, რომ წელს 32 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები. კიდევ ერთხელ გილოცავთ თითოეულ ახალგაზრდას, ვულოცავ თქვენს მშობლებს, წარმატებებს, პროფესიულ წინსვლასა და დასახული მიზნების მიღწევას გისურვებთ!..“ – ნათქვამია მინისტრის მილოცვაში.

ღვინის ეროვნული სააგენტო 100-მდე ახალგაზრდას ღვინის საწარმოებში დასაქმებს

რთველი 2024 წლის მიმდინარეობის პერიოდში, ღვინის ეროვნული სააგენტო 100-მდე ახალგაზრდას ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე ასაქმებს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ოპერატორის პოზიციაზე დასაქმების მსურველი ახალგაზრდები გასაუბრების საფუძველზე შეირჩნენ. შერჩეულ კანდიდატებს სპეციალური ტრენინგები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა რთვლის საკოორდინაციო შტაბში ჩაუტარეს.

რთვლის აღრიცხვის პროგრამა ქვეყანაში 2013 წლიდან მუშაობს. პროგრამა უზრუნველყოფს ჩაბარებული ყურძნის შესახებ სრული და დაზუსტებული მონაცემების შეგროვებას, რაც მაღალი ხარისხის ღვინის წარმოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დასაქმებული ახალგაზრდების ნაწილს ანალოგიური სამუშაო გამოცდილება გასული წლების რთვლიდან უკვე აქვს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ყურძნის საპროგნოზო მოსავალი 300 ათას ტონას შეადგენს. რთვლის მიმდინარეობის დროს ყურძნის გადამუშავების პროცესში, ჯამურად, 500-ზე მეტი ღვინის საწარმო იქნება ჩართული.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ზალკალიანმა თანამდებობა დატოვა

ცაგერის საკრებულოს განცხადებაში ნათქვამია, რომ რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელზეც საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია ზალკალიანის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

„საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ლევან ზალკალიანის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. საკრებულო წარმატებებს უსურვებს ბატონ ლევან ზალკალიანს მომავალ საქმიანობაში“, – წერია საკრებულოს განცხადებაში.

პრეზიდენტმა 17 ბრალდებული შეიწყალა!

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 17 მსჯავრდადებული შეიწყალა. შეწყალების აქტს მან ხელი 26 აგვისტოს მოაწერა.

17 მსჯავრდადებულიდან 13 სრულად გათავისუფლდა სასჯელისგან, მათგან ორი ქალია. ოთხ მსჯავრდადებულს პატიმრობის ვადა შეუმცირდა.

პრეზიდენტმა აგვისტოს თვეში, ჯამში, 39 მსჯავრდადებული შეიწყალა. შეწყალების აქტი მან 2 აგვისტოსაც გამოსცა. შეწყალებულთა ვინაობა, როგორც წესი, არ საჯაროვდება.

ზაფხულში ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა!

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს დაგროვილი დავალიანება, რომელთა გადახდას წლების განმავლობაში ვერ ახერხებდნენ, ჩამოეწერებათ.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, დავალიანების ჩამოწერის შემდეგ ისინი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში (ბმა) ჩართვას შეძლებენ.

„2011-დან 2014 წლამდე თბილისის მერიამ და გამგეობებმა გასცეს სესხები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებზე, რომელთა დაბრუნების შესაძლებლობაც ამ ამხანაგობებს არ ჰქონდათ. ამის გამო, ისინი მთელი ამ წლების განმავლობაში, ვერ ახერხებდნენ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში ჩართულობას. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მოხდეს ამ ვალის ჩამოწერა, რის შემდეგაც მიეცემათ შესაძლებლობა, მომდევნო წლების განმავლობაში აღნიშნულ პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბმა-ს პროგრამა იძლევა საცხოვრებელი კორპუსების მოწესრიგების შესაძლებლობას, ეს იქნება სახურავის შეცვლა, სადარბაზოს განახლება, შიდა კიბეების მოწესრიგება თუ სხვა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

მთაწმინდის რაიონის გამგეობა კოჯორში, კვინიტაძის ქუჩაზე, დევნილთა დასახლებაში საგზაო ინფრასტრუქტურას აწესრიგებს. მისივე თქმით, საგზაო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთი მილიონი ლარია გამოყოფილი.

„პროექტის ფარგლებში, 7 000 კვ.მ ფართობზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგება და 2 500 მეტრი სიგრძის ბორდიური მოეწყობა. საგზაო სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნულ ქუჩაზე კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ წყლის ქსელი სრულად განაახლა. აღნიშნულ დასახლებაში 100-მდე ოჯახი ცხოვრობს“.

* * *

საგურთალოს რაიონის გამგეობა დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონში, საბავშვო ბაგა-ბაღ „ხუთკუნჭულას“ მიმდებარედ, დასასვენებელი სივრცის რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტის ღირებულება, დაახლოებით, 1 000 000 ლარია.

„პროექტის ფარგლებში, 7 000 კვ.მ ფართობზე განახლდება სკვერის სივრცე და დამონტაჟდება შესაბამისი საპარკო ინვენტარი. მოეწყობა სატრენაჟორო და საბავშვო-გასართობი ზონა, განათებისა და სარწყავი სისტემა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

თბილისის მერმა ყურადღება გაამახვილა დედაქალაქის გამწვანების მიმართულებაზე, რომლის ფარგლებში, არაერთი პროექტი მიმდინარეობს.

* * *

ნაძალადევის რაიონში, დავით იოსელიანის ქუჩაზე წყალარინების ქსელის მოწყობა დასრულდა. მიმდებარედ მცხოვრებ 270 ოჯახს წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოუგვარდა.

გლდანის რაიონის გამგეობა ავჭალაში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხში სკვერის რეაბილიტაციას ახორციელებს. აღნიშნული სკვერის რეაბილიტაციით ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიცემული დაპირება შესრულდება.

„ამ სკვერში მთლიანად განახლდება და მოწესრიგდება ყველაფერი. ეს სივრცე ამორტიზებულია და პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობისთვის. დაახლოებით, 400 000 ლარი დაიხარჯება აღნიშნული პროექტის განხორციელებაში. აქაც მოეწყობა ბავშვთა გასართობი და მოსასვენებელი ზონები, პავილიონი; დამონტაჟდება გარე განათებისა და სარწყავი სისტემები. ტერიტორია გამწვანდება და განთავსდება სკვერისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურა“.

კახა კალაძე: საარჩევნო კამპანიაში ვერავინ ჩაერევა, ვერც – რუსეთი, ვერც – ამერიკა და ვერც – დასავლეთი

საარჩევნო კამპანიაში ჩარევის უფლება არავის აქვს და ვერავინ ჩაერევა, ვერც – რუსეთი, ვერც – ამერიკა და ვერც – დასავლეთი, – ასე უპასუხა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მედიის წარმომადგენლის შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებების ნარატივები ერთმანეთს ემთხვევა.

– არ ვიცი, რატომ ეყრდნობით რუსეთის დაზვერვის განცხადებას? რატომ ხართ ასე ძალიან მიჯაჭვული რუსეთის სპეცსამსახურების განცხადებებზე? ესეც ძალიან ბევრ კითხვას ბადებს თქვენთან და, ზოგადად, ოპოზიციასთან მიმართებაში. ამას რად უნდა რუსეთის დაზვერვის განცხადება?! ოპოზიციონერები გამოდიოდნენ, პირდაპირ რევოლუციას ქადაგებდნენ. პირდაპირ ასწავლიდნენ და ატრენინგებდნენ, როგორ უნდა მომხდარიყო ქვეყანაში რევოლუცია. ამას რად უნდა ვინმე სხვა ქვეყნის დაზვერვის სამსახურის განცხადება?! პირდაპირ გამოდიოდნენ და ტელევიზიით საუბრობდნენ ამაზე. მე ხომ არ ვიგონებ?! – განაცხადა კახა კალაძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, რომლის მიხედვითაც, ბოლო დროს რუსეთი ხშირად ერევა ქვეყნის საარჩევნო გარემოში, დედაქალაქის მერი პასუხობს, რომ მმართველი გუნდი საარჩევნო გარემოში ჩარევის უფლებას არავის მისცემს.

„ამის უფლება არავის აქვს და ვერავინ ჩაერევა. ვერც – რუსეთი, ვერც – ამერიკა და ვერც – დასავლეთი. რა თქმა უნდა, მცდელობა არის, რასაც მოწმობს რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება. თქვენ როგორ ფიქრობთ, დანიის მთავრობა, რომელიც აფინანსებს ოპოზიციური სპექტრის გასვლებს რეგიონებში და პირდაპირ ჩართულია საარჩევნო კამპანიაში, ეს ნორმალურია?! ნორმალურია, როდესაც სხვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჩამოდის, საპროტესტო აქციაზე გამოსულ ადამიანებს ხვდება და რაღაც პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს? ეს ნორმალური პროცესია?!

ამიტომ ვამბობ, რომ არავის აქვს უფლება, ჩაერიოს ქვეყნის შიდა პროცესებში. „გამჭვირვალობის კანონი“ სწორედ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია, თუ ვინ გეგმავს რევოლუციას საქართველოში, ვინ ებრძვის ეკლესიას, ვინ აფინანსებს რევოლუციურ სცენარს, ექსტრემისტულ ორგანიზაციებს და ა.შ.“

7 მრავალსართულიანი კორპუსი დევნილებისთვის!

ზუგდიდში, 1700 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, 7 მრავალსართულიანი კორპუსი აშენდება.

მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია და მშენებლობა უახლოეს დღეებში დაიწყება. პროექტის ღირებულება 191 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი ცაგარეიშვილმა, დევნილთა სააგენტოს დირექტორმა ზურაბ უტიაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გუგუჩიამ და ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ მოინახულეს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, განსახლების უპრეცედენტოდ მასშტაბური პროგრამა 2023 წელს დაიწყო. პროექტის ფარგლებში, საცხოვრებელ ფართს, პამში, 13 000 დევნილი ოჯახი მიიღებს.

ხაშურის წყალმომარაგების გაუმჯობესებას 51,4 მილიონი ევრო მოხმარდება!

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან ხელშეკრულება ხელმოწერილია და დადგენილი წესით რატიფიცირებისთვის გადაიგზავნება საქართველოს პარლამენტში

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის მთავრობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ახორციელებს არაერთ საინვესტიციო პროექტს საგზაო, ენერგეტიკის, წყლის ინფრასტრუქტურის, ირიგაციის სისტემების და სხვა მიმართულებებით.

საინვესტიციო პროექტებისთვის სასესხო შეთანხმებების მომზადება რეგულარულად ხდება და მოიცავს მთელ რიგ პროცედურებს როგორც დონორის მხრიდან, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დასაცავად, როგორიცაა ხელმოწერის უფლებამოსილება, რატიფიცირება და ა.შ.

საქართველოს მთავრობის მიერ მუშაობა საინვესტიციო პროექტებზე და მათ დასაფინანსებლად შესაბამისი ინსტრუმენტების მოძიებაზე, ბუნებრივია, გრძელდება მუდმივ რეჟიმში, მათ შორის საერთაშორისო და ორმხრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით.

ხაშურის წყლის პროექტისთვის სასესხო შეთანხმებას საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (**AFD**) („ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება) ხელი მოეწერა 2020 წლის 31 ივლისს და მოიცავს 58 მლნ ევროს ოდენობის სესხს, საიდანაც შესრულებული სამუშაოებისთვის დღეის მდგომარეობით ჩამორიცხულია 21.4 მლნ ევრო.

ამჟამად ხელმოსაწერად მომზადდა მეორე ეტაპისთვის საჭირო რესურსი, რაზედაც მუშაობა საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (**AFD**) დაიწყო 2023 წლიდან (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 ნოემბრის **N**2072 განკარგულების საფუძველზე) ორივე მხარის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად და მეორე ეტაპის სამუშაოების დაფინანსებას 30 მლნ ევროს ოდენობის სესხით.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 აგვისტოს განკარგულება გულისხმობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობის მიცემას საკრედიტო შეთანხმების დადების მიზნით, რაც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ პროცედურას.

აღნიშნული შეთანხმება მხარეებს შორის მიღწეულია საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოცემამდე და დღეის მდგომარეობით ხელშეკრულება ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ხელშეკრულება დადგენილი წესით გადაიგზავნება საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის. – ნათქვამია საგარეო უწყების გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსეთის საგარეო დაზვერვა აცხადებს, რომ აშშ საქართველოში „ფერად რევოლუციას“ ამზადებს

ჩვენი უბადრუკი ოპოზიცია ხომ მხოლოდ ამისთვის ემზადება?!

რუსეთის საგარეო დაზვერვა აცხადებს, რომ აშშ საქართველოში „ფერად რევოლუციას“ ამზადებს. ეს ამ უწყების მიერ გაკეთებული მეორე მსგავსი განცხადებაა ბოლო ორ თვეში.

როგორც რუსული სახელმწიფო მედია წერს რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურზე დაყრდნობით, „თეთრ სახლში უკიდურესად უკმაყოფილო არიან 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით“.

აშშ-ს საქართველოში პარლამენტის არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლა სურს.

რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანახმად, „ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ბევრ მოხალისეს აგროვებენ ხმის მიცემის მიმდინარეობაზე მჭიდრო დაკვირვებისთვის, მათ უყენებენ ამოცანას, გამოავლინონ და დააფიქსირონ ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების „გარდაუვალი ფაქტები“.

უწყების ცნობით, „თბილისის მაიდანზე“ გეგმავენ არჩევნების „გაყალბების მტკიცებულებების“ აღმოჩენას, არჩევნების შედეგების არაღიარების გამოცხადებას და ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნას. „ეცდებიან სამართალდამცავების პროვოცირებას, პროტესტის ძალით ჩახშობის იძულების მიზნით“.

„ამავდროულად, ამერიკელები წინასწარ ამუშავებენ ვარიანტებს, ხელისუფლების მიერ „მოქალაქეების“ წინააღმდეგ „გადაჭარბებული“ ძალის გამოყენებაზე „დაუნდობელი“ პოლიტიკური და ეკონომიკური პასუხის გასაცემად“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის პრესცენტრის განცხადებაში.

რუსეთის სპეცსამსახურში ფიქრობენ, რომ საქართველოს მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ შესწევს საპარლამენტო არჩევნებში ხალხის დამაჯერებელი მხარდაჭერის მიღების ძალა, „ვინაიდან, ამერიკელების მცდელობების მიუხედავად, ოპოზიცია დანაწევრებულია, სხვადასხვა ძალის მიერ შექმნილი კოალიციები კი – არამტკიცე. ის, რასაც ამერიკელები უფრთხიან, ხელს გაუხსნის მმართველ პარტიას, გააგრძელოს სუვერენული კურსი და უარი თქვას დასავლეთის საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო მოთხოვნების შესრულებაზე“, – იუწყება რუსეთის საგარეო დაზვერვა და ამატებს, რომ ვაშინგტონში მსგავსი სცენარი მიუღებლად მიაჩნიათ, ამიტომ, „ამერიკელები არჩევნებამდე დარჩენილ კვირებში აპირებენ მასშტაბურად გაზარდონ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა, რათა მაქსიმალურად შეასუსტონ „ქართული ოცნების“ ელექტორალური პოზიციები“.

საქართველოში შემოდგომაზე მოსალოდნელ არეულობასთან დაკავშირებით რუსეთში ხშირად საუბრობენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მიხაილ გალუზინის 4 ივნისის განცხადებით, დასავლეთი ოქტომბრისთვის საქართველოში ახალი „მაიდნის“ მოწყობას ცდილობს.

„აგენტების კანონის“ ხელმეორედ ინიციირების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოში „მაიდნის სცენარსა“ და ხელისუფლების დამხობის საფრთხეზე ალაპარაკდნენ.

მსგავსი განცხადება სუსმა გასული წლის სექტემბერშიც გამოაქვეყნა.

„აგენტების კანონის“ მიღების აუცილებლობას საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის არგუმენტით ხსნის.

მანამდე მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, მათ შორის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაფინანსების მიმღები ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ორჯერ ცდილობდნენ ქვეყანაში რევოლუციის მოწყობას. კობახიძემ საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი კელი დეგნანი „ქვეყანაში რევოლუციური სცენარების მხარდაჭერაში“ დაადანაშაულა.“ ვაშინგტონმა თბილისის ბრალდებები უარყო.

„რადიო თავისუფლება“



აკადემიკოსი როინ მეტრეველი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის წევრად აირჩიეს

პაცოგრიობის საკეთილდღეოდ ცოდნის, კვლევისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, აკადემიკოსი როინ მეტრეველი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის – CORE აკადემიის წევრი გახდა. აღიარება ეფუძნება საქართველოსა და კავკასიის, შუა საუკუნეების ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფის, სოციალური პროცესებისა და დიპლომატიის ისტორიაში აკადემიკოსის კვლევით ნაშრომებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით აკადემიური წევრობის კიდევ ერთი მაღალი სტატუსით დაჯილდოდა, შეყვანილია **CORE** აკადემიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილებაში. აკადემიის ვებსაიტზე შექმნილია ინა სახელობის გვერდი, რომელშიც წარმოდგენილია აკადემიკოსის მოღვაწეობა და მისი სამეცნიერო მიღწევები (**https://coreacad.org/Member.aspx?ProId=135**)

CORE აკადემია წარმოადგენს კაცობრიობის საკეთილდღეოდ შექმნილი გლობალური აკადემიური თანამშრომლობისა და ცოდნის გავრცელების პლატფორმას, რომელიც ჰონგკონგის მთავრობის მიერ არის დაფუძნებული. სამეცნიერო ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო, მოწინავე და ინტერდისციპლინურ კვლევებს ცოდნის ყველა სფეროში. სამეცნიერო ორგანიზაცია მოწოდებულია აღიაროს გამოჩენილი სამეცნიერო მიღწევები მსოფლიო მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ წევრობის კანდიდატის ნომინირების უფლება გააჩნიათ მხოლოდ აკადემიის წევრებს, ასევე, ნომინირებული კანდიდატის სამეცნიერო შედეგების ფარული რეცენზირებას **CORE** აკადემიის სხვა ორი წევრის მიერ ხორციელდება, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ ხდება ახალი წევრის არჩევა.

Roin Metreveli

Division of Humanities

Historian

roin@metreveli.com

CORE

Advancing Knowledge for Humanity

President of the Georgian National Academy of Sciences; Professor and Academician of the Georgian National Academy of Sciences; Member of the International Academy of Higher Education; Member of the European Academy of Sciences and Arts

დედაუნივერსიტეტს სრული და უპირობო ავტორიზაცია მიენიჭა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, უმაღლესი შეფასებით, სრული და უპირობო 6-წლიანი ავტორიზაცია მიენიჭა.

აღნიშნული გადაწყვეტილება უცხოელი და ქართველი მაღალკვალიფიციური ექსპერტების შეფასების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გუშინ მიიღო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ამ წარმატებას თსუ პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომელთა თავდაუზოგავი შრომით უნივერსიტეტმა ღირსეული შედეგი მიიღო.

უკეთ ვისწავლოთ საკუთარი სამშობლოს მოვლა!

მღელვარე ზაფხული დაგვიდგა. შუა ივლისიდან შუა აგვისტომდე პარიზის საზაფხულო ოლიმპიადის გარდა სხვა არაფერი არ გვახსოვდა სპორტის სხვადასხვა სახეობების ქომაგებს. სასურველი შედეგის მოლოდინში, დაძაბულები ვისხედით ტელევიზორებთან და ახალ-ახალ გამარჯვებებს და ზოგჯერ მარცხისაგან მიყენებულ ტკივილებს, ქართველ სპორტსმენებთან ერთად ვიზიარებდით. წინა წლებში, რამდენ ოლიმპიადას ჩაუვლია, მაგრამ ასეთი ინტერესი, განცდები და ასეთი სიხარული, მე პირადად, არასოდეს მძონია. არ ვიცი, რა დამემართა! ჩვენი ვაჟკაცი გიჯების მიერ მოპოვებულმა სახელოვანმა მედლებმა თითქოს ჩემი მამულის სიძლიერე და გედნიერი მომავალი დამანახეს. როგორც მერე აღმოჩნდა, თურმე მთელი საქართველო, ქართველი ხალხი იგივე განცდებში ყოფილა.

პარიზის ოლიმპიადა და წლევანდელი სპორტული გამარჯვებები განსაკუთრებული და საგანგებოა ქართველი ხალხისთვის. თორმეტი წელია (უწინ კი რაც იყო, ხომ ვიცით!) გარედან შემოჭრილი მტრებისგან და თავდასხმებისგან კი გვიცავს ჩვენი

საქართველოს რესპუბლიკა
ავხაზოთ ბნელს რიდე!
№193-94. ხუთშაბათი, 15 აგვისტო, 2024 წელი

მსოფლიო მშვიდობის ფორუმი საქართველოში

ყაზაგეთ მშვიდობის ფორუმის ერთ-ერთი ლიუბლიანა...

4

მთავრობა, გვიფრთხილდება, მისი და ღმერთის წყალობით მშვიდობა სუფევს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ისეთი მშვიდობა მაინც არ არის ჩვენს გულსა და სულში, რომ თავი ბედნიერად ვიგრძნოთ. **დაუნდობლობა, ღალატი, სიძულვილი, უპატივცემლობა (უზრდელობა!), დაუნახაობა და უმადურობა ვირუსივით არის გავრცელებული ქართულ პოლიტიკურ ველზე. „ვითომპოლიტიკოსთა“ ამ „კეთილშობილ“ თვისებებში გამორჩეულია – ღალატი. „სახელმწიფო თავზე გვექცევაო“ – არწმუნებენ ამერიკისა თუ ევროპის ქვეყნების მოქმედ პოლიტიკოსებს და მიზანსაც აღწევენ. ყველამ ვიცით, რაც ხდება. ჩვენი რადიკალი ოპოზიციონერების სიგნალს ელოდნენ თუ რა მოხდა ვინ იცის, ჩვენმა წინანდელმა პარტნიორებმა ზურგი გვაქციეს და სადამსჯელო „რეპერტუარიც“ წარმოგვიდგინეს, ჩვენ – ხალხს კი არა, მხოლოდ მთავრობას! მთავრობა რომ ხალხის დიდი ნაწილის არჩეულია, თითქოს არ იციან. აი ასე, ევროკავშირისა და ამერიკის მხარდაჭერით მოინდომეს რადიკალებმა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლა! ასეთმა ვითარებამ ქვეყანაში ხალხი დაზაფრა. რადიკალებმა კი მიაღწიეს თავისას, ჩვენი მთავრობისადმი მტრულად განაწყვეს საქართველოს პარტნიორები და კეთილისმყოფელი საზღვარგარეთელი პოლიტიკოსები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მტრული განწყობა ჩვენს მთავრობას, დიპლომატიითა და ჩვენთვის სასარგებლო პოლიტიკური ხერხებით როგორმე თავიდან უნდა აეცილებინა! ჩვენ კი როგორ მოვიქეცით? ფარულად მოქმედ მტერს პირდაპირ, ჯიქურ დავუპირისპირდით, არგუმენტირებული და ხშირად უარგუმენტო ბრალდებები მათ გასაგონად გავახმიანეთ და შედეგად რა მივიღეთ? შინაური მტრები – ოპოზიციონერები და მისთანანი გამოცოცხლდნენ, ახლა უფრო თამამად გაიძახიან: „ქართულ ოცნებას“ საქართველო ევროკავშირისკენ კი არა, რუსეთისკენ მიჰყავსო. ატეხეს ლანძღვა-გინების კორიანტელი. გაისმა რევოლუციური მოწოდებებიც. თან უხარიათ, გვერდში რომ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებიც ამოიყენეს – ხალხის მოტყუებას უკეთ შევძლებთო! არადა, ეს ეგრეთ წოდებული კოზირი მოღალატეებს ხელში არ უნდა ჩაეგდოთ. ფარულ მტერს ფარულად უნდა ებრძოლოო, გამიგონია...**

ძვირფასო მკითხველო, ხალხის მოტყუებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ გაუგებრობებმა, დაპირისპირებებმა, მუქარამ და ერთმანეთში გამუდმებულმა ქიშპობამ და ბრძოლამ დიდი დაძაბულობა, უიმედობისა და უსუსურობის განცდა შემოიტანა საზოგადოებაში. ასე არ არის?

ერთობას და სიხარულს მოწყურებულები, ამიტომაც განსაკუთრებული სიხარულით და სიყვარულით შევხვდით ჩვენს გამარჯვებულ ბიჭებს. გამარჯვება, სიხარული და ერთობა გვაკლია. სპორტსმენების მედლებმა სიხარულთან ერთად ჩვენი ვაჟკაცობისა და სიმაგრის რწმენა განგვიახლა. რაც შეეხება რადიკალების წუწუნს – ქვეყანა თავზე გვექცევაო, გაიხედეთ ხალხო, შეადარეთ ჩვენი ცხოვრება და ყოფა ათი წლის უწინდელს, თვალები ხომ არ უნდა დავიბრმაოთ, დასანახი არ დავინახოთ? ვინ თქვა, უკეთესი არ გვინდაო. მთავრობაც უკეთესი გვინდა და ყოფაც. ერი თუ უკეთესობისაკენ არ მიილტვის, ის რა ერია! ჩვენს მშვიდობიან ქვეყანაში მნგრეველების, უზრდელებისა და მოღალატეების ბანდის ხელისუფლებაში მოსვლას ხალხი არ დაუშვებს! **და ჩვენდა სასიხარულოდ და საამაყოდ, გამოჩნდა ადამიანი, ქართველი ახალგაზრდა, მშვიდობის პრემიის ნომინანტი – ბესო შენგელია, რომელიც არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ მთელ პლანეტაზე მშვიდობის მისაღწევად საქართველოში ახალი – მშვიდობის ფესტივალის გამართვას გეგმავს. ეს სასიქადულო ამბავი ჩვენმა ღირსშესანიშნავმა გაზეთმა – „საქართველოს რესპუბლიკამ“ გვამცნო. ქართველი კაცის ამ დიდებულ მოწოდებას უკვე გამოეხმაურნენ მშვიდობისმოყვარე ადამიანები, სახელმწიფოები. დიახ, ჩვენს პატარა, ულამაზეს და უძვირფასეს საქართველოში ჩვენი მოქალაქის, უნიკალური ნიჭით გამორჩეული ბესო შენგელიას მოწოდებით და გეგმით გაიმართება მშვიდობის მსოფლიო ფესტივალი! ასე, რომ წინ კიდევ მრავალი გამარჯვება და სიხარული მოგველის, ძვირფასო მკითხველო. მთავარია, მხნედ ვიყოთ, უკეთ ავითვისოთ მტრის და მოყვრის გარჩევა, უკეთ ვისწავლოთ ჩვენი სამშობლოს მოვლა, ჩვენი ოჯახების გაძლიერება, რაც მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით მიიღწევა!**

გულნარა სტურუა

ოჯახისა და ზნეობის კრიზისი საქართველოში

ქართული ოჯახი ისტორიულად მყარ ეროვნულ ფასეულობათა სისტემას ეფუძნებოდა. თავის მხრივ, იგი მრავალი საუკუნის განმავლობაში იდენტობის შენარჩუნების მოთავე იყო, ქართული ცხოვრების წესსა და ეროვნულ ზნეჩვეულებებს ამკვიდრებდა.

საქართველოში ამჟამად ოჯახი, სამწუხაროდ, ღრმა კრიზისს განიცდის. ასეთი კრიზისი მას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს განუცდია. ოფიციალური მონაცემებით, ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება, ხოლო თბილისში თითქმის ყოველი ქორწინება (1,6 ქორწინება) ერთი განქორწინებით.

ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ქორწინების გარეშე შობადობა. თბილისში ოჯახების ნახევარს ჰყავს მინიმუმ 200 ათასი ძაღლი. მათ პატრონებს კი მიაჩნიათ, რომ ძაღლი ოჯახის წევრია და ბევრს ძაღლი შვილივით უყვარს.

თუ ოჯახი მთელი ჩვენი მღელვარე ისტორიის განმავლობაში ერის ბურჯად მიაჩნდათ, ამჟამად ეს ბურჯი ერს ხელიდან ეცლება! ოჯახის მტკიცე მორალი ჩვენ თვალწინ შეირყა. ოჯახის წევრები და უახლოესი ნათესავები ერთმანეთსაც არ ინდობენ, ერთმანეთს მოსაკლავადაც იმეტებენ. გახშირდა ისეთი შემთხვევები, რაც ადრე, ამ 30-40 წლის წინათ, წარმოუდგენელი იყო.

ცნობილი გამოთქმაა, „ბავშვების დედა არის ოჯახის დედა, მაგრამ ოჯახის დედები იმავე დროს ერის დედებიც არიან“. ქალები, რომლებსაც ძაღლი ოჯახის წევრად მიაჩნიათ და შვილივით უყვართ, ვერასოდეს იქნებიან ოჯახის სრულყოფილი დედები, მით უმეტეს ერის დედები. არადა, დედების ხელშია ერის მომავალი ბედი. როგორც ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა, დედაკაცი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს შვილების აღზრდას. როგორც ერთ ქართულ ხალხურ ლექსშია: „შვილის გაჩენას რა უნდა, შვილის აღზრდაა მთავარი“.

მინავლდა პატრიოტული შეგნება, შეიცვლა ქართველი ხალხის ფსიქოლოგიაც – ხასიათი, სულიერი წყობა, ფსიქიკური პროცესები. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება შერყეული ზნეობრივი ანარქიიდან გამოსვლისათვის.

ოჯახი ქორწინებისა თუ ნათესაობის საფუძველზე იქმნება, რომლის წევრები ერთმანეთთან, უპირველეს ყოვლისა, ყოფა-ცხოვრებისა და მორალური პასუხისმგებლობით არიან დაკავშირებული. ოჯახის სიმტკიცე საზოგადოებრივი განვითარების ყოველ პერიოდში სახელმწიფოს ზრუნვის საგანი იყო. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მორალურმა პასუხისმგებლობამ საოცარი სისწრაფით დაიწყო დაქვეითება და ამ საუკუნეშიც გაგრძელდა შეუფერხებლად. საქართველოში ოჯახის კრიზისი თითქმის ისეთივე დონეზეა, როგორც დასავლეთის ქვეყნებში.

უკანასკნელ წლებში საქართველოში სულ უფრო იზრდება ქორწინებისგარეშე შობადობის მაჩვენებელი, რაც მეტად მწვავე დემოგრაფიული და სოციალური პრობლემაა. აღსანიშნავია, რომ ქორწინების გარეშე შობადობა ქვეყანაში გასული საუკუნის ბოლო პერიოდში გაიზარდა. კერძოდ, 1980 წელს ქორწინებისგარეშე საქართველოში დაიბადა 4195 ბავშვი, ხოლო 1989 წელს – 16161. და ასეთ ბავშვთა წილმა მთელ დაბადებულებში 17,7 პროცენტი შეადგინა. ამ მაჩვენებლით მაშინ ესტონეთის გარდა ყველა რესპუბლიკას მნიშვნელოვნად გავუსწარით.

ქორწინებისგარეშე შობადობის წილი ამ პერიოდში (1980-1989 წლები) უფრო მაღალი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. კერძოდ, საფრანგეთში ეს მაჩვენებელი გაორმაგდა და მან 26 პროცენტი შეადგინა.

ოცდამეერთე საუკუნეში საქართველოში ქორწინებისგარეშე შობადობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2014-2023 წლებში, ათ წელიწადში ქვეყანაში 504 179 ბავშვი დაიბადა და აქედან მხოლოდ 328 890 ბავშვის (65,2 პროცენტი) მშობლები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, ხოლო ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვთა რაოდენობამ 174 742 ბავშვი შეადგინა (34,7 პროცენტი).

დაბადებულთა რიცხოვნობა მშობლების ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით 2014-2023 წლებში ხუთწლიანი ინტერვალით

წლები	სულ დაბადებულები	მათ შორის			
		რეგისტროირებული ქორწინების მიხედვით	მშობელთა ერთობლივი განცხადების მიხედვით	დედის განცხადების მიხედვით	არ არის მითითებული
	აბსოლუტურად/%	აბსოლუტურად/%	აბსოლუტურად/%	აბსოლუტურად/%	აბსოლუტურად/%
2014-2023	504179/100,0	328890/65,2	159581/31,7	15161/3,0	547/0,1
მათ შორის					
2014-2018	280884/100,0	188733/67,2	85100/30,3	6843/2,5	108/0,0
2019–2023	223295/100,0	140157/62,8	74481/33,3	8218/3,7	439/0,2

ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვებზე დაბადების მოწმობას სამოქალაქო რეესტრის სამსახური იძლევა, როგორც მშობელთა ერთობლივი განცხადების, ისე მხოლოდ დედის განცხადების საფუძველზე.

მთლიანად ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვებიდან, ოფიციალური მონაცემებით, მშობელთა ერთობლივი განცხადების მიხედვით გაფორმებულია 159 851 ბავშვი (დაბადებულ ბავშვთა 31,7 პროცენტი), ხოლო დედის განცხადების მიხედვით 15 161 ბავშვი (30 პროცენტი). მეტად საგანგაშოა, რომ ეს მაჩვენებლები ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება. მაგალითად, 2014-2018 წლებში, ხუთ წელიწადში, მხოლოდ დედის განცხადების მიხედვით გაფორმებულია 6343 ბავშვი (მთელი დაბადებული ბავშვების 2,5 პროცენტი), ხოლო შემდეგ ხუთ წელიწადში – 2019-2023 წლებში – 8218 ბავშვი (3,7 პროცენტი).

წინა საუკუნეებში განქორწინება იშვიათობას წარმოადგენდა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში (1950-1999 წლებში საქართველოში 1 818 380 ქორწინება და 199 380 განქორწინება მოხდა, ე. ი. 9,1 ქორწინება ერთ განქორწინებაზე. თუ ამ მოვლენას დინამიკაში დავახასიათებთ, ასეთ მონაცემებს მივიღებთ: 1950 წელს 74 ქორწინება მოდიოდა ერთ განქორწინებაზე, 1950-1959 წლებში 49 ქორწინებაზე განქორწინება ერთი, ხოლო 1990-1997 წლებში 6 ქორწინებაზე ერთი განქორწინება... განსაკუთრებით ხშირი იყო განქორწინებები ქალაქად. 1990 წელს ქალაქად ყოველი მესამე ქორწინება განქორწინებით დამთავრდა, ხოლო სოფლად – ყოველი მეცხრამეტე. ამჟამად ეს განსხვავება შედარებით უმნიშვნელოა. ამავე წელს განქორწინების შედეგად ქვეყანაში ერთ-ერთი მშობლის ამარა დარჩა 4 408 ბავშვი.

ქვეყანაში განქორწინებები განსაკუთრებით გაიზარდა ოცდამეერთე საუკუნეში. 2000-2023 წლებში 151 171 განქორწინება დადასტურდა და აქედან თბილისში 61 120 წყვილი განქორწინდა (39,6 პროცენტი) განქორწინების მაჩვენებელი განსაკუთრებით გაიზარდა 2020-2023 წლებში. თუ 21-ე საუკუნის პირველ ათეულში საშუალოდ ყოველწლიურად 2282 ოჯახი დაინგრა, მეორე ათწლეულში ყოველწლიურად 8528 განქორწინება მოხდა, ხოლო 2020-2023 წლებში, ოთხ წელიწადში, უკვე საშუალოდ ყოველწლიურად 11 515 წყვილი დაშორდა ერთმანეთს. სულ 21-ე საუკუნეში (2000-2023 წლებში) ერთ განქორწინებაზე 3,7 ქორწინება მოდის, რაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის (1950-1999 წლებში) მაჩვენებელთან შედარებით (9,1 ქორწინება ერთ განქორწინებაზე) მნიშვნელოვნად გაუარესდა.

რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვი ერთ რეგისტრირებულ განქორწინებაზე საქართველოში, მეზობელ ქვეყნებსა და იტალიაში

წლები	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	თურქეთი	რუსეთი	იტალია
2020	2,1	3,9	2,4	3,6	1,4	1,2
2021	2,1	3,9	3,3	3,2	1,4	1,8
2022	1,8	3,7	3,9	3,2	1,5	2,1
2023	1,6		2,5	3,3		1,7

შენიშვნა: სომხეთისა და რუსეთის 2023 წლის აბსოლუტური მონაცემები დამუშავებული არ იყო.

ამჟამად საქართველო განქორწინების მაჩვენებლის მხრივ დასავლეთ ევროპის ქვეყნების დონეზეა. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, რუსეთში 2018 წელს ერთ განქორწინებაზე 1,5 ქორწინება მოდიოდა, ჩვენი ქვეყნის ანალოგიური მონაცემებით ხასიათდება აღნიშნული მოვლენა. სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში ვითარება ჯერჯერობით უკეთესია (იხილეთ ცხრილი).

განქორწინება მიეკუთვნება დემოგრაფიულ პროცესს და მისი სიხშირის ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს შობადობის მაჩვენებელზე.

* * *

2023 წლის თებერვალ-მარტში ჩავატარეთ სტუდენტი ახალგაზრდობის პრობლემის კვლევა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, ანალოგიური კვლევა ჩავატარეთ 2003 და 2013 წლებში, რაც საშუალებას გვაძლევს, ახალგაზრდების ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები დინამიკაში განვიხილოთ.

ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში დიდ კრიზისს განიცდის, ქართველი სტუდენტების ცხოვრებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. სტუდენტების 56,7 პროცენტისათვის, მათ შორის, რესპონდენტი ვაჟების 44,2 პროცენტისა და ქალების 64,1 პროცენტისათვის ოჯახი აუცილებელზე აუცილებელია! ამასთან, ეს მაჩვენებლები საგრძნობლად შემცირდა ვაჟებისთვის როგორც 2003, ისე 2013 წლებში ჩატარებულ კვლევებთან შედარებით.

ბოლო გამოკითხვამ აჩვენა, რომ ძალიან მაღალია გამოკითხულ სტუდენტთა ემიგრაციული განწყობა. საგანგაშოა, რომ მხოლოდ 44 სტუდენტი (21,1 პროცენტი) არ აპირებს საზღვარგარეთ წასვლას, დანარჩენი სტუდენტები სწავლის დამთავრების შემდეგ აპირებენ საზღვარგარეთ წასვლას სწავლის გასაგრძელებლად, დროებით სამუშაოდ და მუდმივად საცხოვრებლად. აღსან-

თითქმის ორი ათეული წელია, ლიბერალი, უზნეო, უსამშობლო ნაციონალთა მხრიდან მასობრივი შეტევა მიდის საკაცობრიო ღირებულებებზე — სამშობლოს სიყვარულზე, ოჯახზე, რწმენასა და ტრადიციებზე, ყველაფერზე, რაც ერს ასულდგმულებს, ადამიანის ცხოვრებას ალამაზებს, ნაციონალები არაფერს დაგიდევენ, ოღონდ თავიანთ საწადელს მიაღწიონ.

იშნავია, რომ სტუდენტი ქალების 10,0 პროცენტი აპირებს საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წასვლას, მაშინ, როდესაც ვაუ სტუდენტებს ასეთი სურვილი არ გამოუთქვამთ, რაც არამარტო გაზრდის დემოგრაფიულ დანაკარგებს (როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ახალგაზრდების ნაწილი აღარ ბრუნდება სამშობლოში), არამედ დაოჯახების პრობლემასაც შექმნის.

გამოკითხულ სტუდენტთა მხოლოდ 10 პროცენტი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ქორწინება მოძველებული ინსტიტუტია, ხოლო 30 პროცენტს ამ საკითხზე არ ჰქონდა გამოკვეთილი აზრი. დანარჩენი 60 პროცენტი არ იზიარებს აზრს, რომ ქორწინება მოძველებული ინსტიტუტია.

სტუდენტთა დიდი უმრავლესობა უახლოეს მომავალში არ აპირებს დაოჯახებას და ამის მიზეზად სწავლასა და მომავალი ცხოვრების მოწყობის უპირატესობას, ასე ვთქვათ, მყარად ფეხზე დადგომას აღიარებს. ამის მიზეზიცაა, რომ ქალების საშუალო საქორწინო ასაკი 1994-2022 წლებში 23 წლამდე გაიზარდა. რაც სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად, ამცირებს შობადობას!

სტუდენტი ვაუების 41,5 პროცენტისა და სტუდენტი გოგონების 37,4 პროცენტისთვის მეუღლის ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. ვაუი სტუდენტების 83,1 პროცენტი მშობლებს უდიდესი პატივისცემით ეპყრობა, 14,3 პროცენტი არც მაინცდამაინც პატივისცემით, ხოლო 2,6 პროცენტი უპატივცემულოდ. სტუდენტი ქალების შესაბამისი მაჩვენებლები 88,5; 9,2 და 2,3 პროცენტს უდრის.

ალკოჰოლურ სასმელებს სისტემატურად ეტანება სტუდენტი ვაუების 7,8 პროცენტი და ქალების 3,1 პროცენტი.

ნარკოტიკულ ნივთიერებებს სისტემატურად მოიხმარს სტუდენტი ვაუების 1,3 პროცენტი, ხოლო ზოგჯერ – 18.2 პროცენტი! სტუდენტი ქალები კი, შესაბამისად – 1,5 პროცენტი და 9,2 პროცენტი.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში 67 ათასი სტუდენტი სწავლობს, მაშინ 900 სტუდენტი მაინც მოიხმარს ნარკოტიკულ ნივთიერებებს სისტემატურად (1,3 პროცენტი).

უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანაში ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირების ზრდა, სტუდენტი ვაუების აზრით, განაპირობა: არსებულმა მწვავე სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემამ (10,4 პროცენტით); საზოგადოებრივ შეხედულებებში მომხდარმა ცვლილებებმა (77,9 პროცენტი); და საზოგადოებრივი კონტროლის შესუსტებამ – 11,7 პროცენტი. სტუდენტი ქალების მოსაზრებით, ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 8,3; 80,9 და 10,8 პროცენტს უდრის.

სტუდენტი ვაუების 41.6 პროცენტის აზრით, საჭიროა პროსტიტუციის ლეგალიზაცია, ამ მოსაზრებას იზიარებს სტუდენტი ქალების 35,1 პროცენტი.

დაუქორწინებელი ზრდასრული ვაუების 75.3 პროცენტს ჰქონდა სქესობრივი თანაცხოვრების გამოცდილება.

გაუთხოვარი სტუდენტი ქალების 33 პროცენტს, ანუ გამოკითხულთა ყოველ მესამეს ასევე ჰქონდა სქესობრივი ცხოვრების გამოცდილება. ეს მაჩვენებლები წინა წლებში მნიშვნელოვნად დაბალი იყო. კერძოდ, 2003 წელს სტუდენტი ქალების მხოლოდ 11.6 პროცენტს ჰქონდა სქესობრივი ცხოვრების გამოცდილება, ხოლო 2013 წელს – 18.9 პროცენტს.

სტუდენტთა უმრავლესობას აღარ მიაჩნია საჭიროდ სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავება დაქორწინებამდე. ასე ფიქრობს გამოკითხული ქალების 38.2 პროცენტი.

* * *

სტუდენტი ახალგაზრდობის პრობლემების შესწავლამ, სამწუხაროდ, ცხადად დაგვანახა, რომ თანდათანობით ვკარგავთ ეროვნულ ღირსებას, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე დიდი ღირებულებაა! ნაციონალური მოძრაობის ზეობის პერიოდში პრესამ, ტელევიზიამ, სოციალურმა ქსელებმა, მნიშვნელოვნად განაპირობა სქესობრივი აღვირახსნილობა და ოჯახის სიმტკიცის შერყევა. ოჯახი, რომელსაც ჩვენი დიდი მოღვაწეები ერის ბურჯად მიიჩნევლდნენ, ისე მოირყა, რომ თითქმის ყოველი ქორწინება დღეს განქორწინებით მთავრდება. ადამიანებმა დაკარგეს სულიერი სიმშვიდე, გაიზარდა ოჯახში ორმხრივი ძალადობის ფაქტები!

თითქმის ორი ათეული წელია, ლიბერალი, უზნეო, უსამშობლო ნაციონალთა მხრიდან მასობრივი შეტევა მიდის საკაცობრიო ღირებულებებზე – სამშობლოს სიყვარულზე, ოჯახზე, რწმენასა და ტრადიციებზე, ყველაფერზე, რაც ერს ასულდგმულებს, ადამიანის ცხოვრებას ალამაზებს, ნაციონალები არაფერს დაგიდევენ, ოღონდ თავიანთ საწადელს მიაღწიონ.

ვინც ჩვენი პარლამენტის სხდომებს ისმენს და ოპოზიციურ ტელევიზიებს თვალყურს ადევნებს, ამაში ადვილად დარწმუნდება. ქართული ოჯახის კრიზისიც მნიშვნელოვანწილად მათი „დამსახურებაა“.

საბოლოოდ დიდი გულისტკივილით უნდა დავასკვნათ, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის პრობლემების კვლევის მიხედვით ჩვენი იდენტობის მაჩვენებელი სულ უფრო შემცირდა. მაგალითად, სტუდენტი გოგონების თითქმის ნახევრისთვის მისი მომავალი მეუღლის ეროვნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! სქესობრივი კავშირისაგან თავის შეკავება დაქორწინებამდე მოძველებულ, გაუმართლებელ მოთხოვნად მიაჩნიათ, ხოლო ბევრისთვის ქორწინება ნამეტნავად მოძველებული ინსტიტუტია და ა. შ., ეს ყოველივე ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების მოშლასა და ზნეობის განადგურებას ნიშნავს!

უმწვავესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში ოჯახის კრიზისი ქართველი ერის არსებობას, მის მომავალს სათუოს ხდის. დემოგრაფიული და ოჯახური კრიზისები, სოციალური თუ ეროვნული პრობლემების მკურნალობა არა მარტო ხელისუფლების, არამედ ყოველი გონიერი ქართველის უპირველესი საფიქრალი უნდა გახდეს. ამ საქმეში განსაკუთრებით წონადი სიტყვა უნდა თქვას პრესამ, ტელევიზიამ, იდეოლოგიური ზემოქმედების სხვა საშუალებებმა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც გითხარით, ისინი საწინააღმდეგოდ მოქმედებენ!..

ანზორ თოთაძე,
პროფესორი,
დემოგრაფი

მიმინება!

თავთით ჩამცხრალი მზე გიდგას.
ფერხთით – სავსე მთვარეა.
მიიძინე. ღვთისმშობელო.
მიიძინე. მარიამ!

ერთ უღელში ვინ შეგიბა
ბედი და უბედობა.
ზეციური „უფლისწულის“
რად გერგუნა დედობა?

ცისკრის ვარსკვლავს გზა დაუთმო
შუაღამის უკუნმა.
როცა ბეთლემში ბაგიდან
„მტრედმა“ შემოგღუღუნა.

მაშინდელი ცრემლის კვირტი
ახლაც ისევ ყვავილობს.
მიიძინე. სიხარულის.
მწუხარებით დაღლილო!

არ დაგინდეს.
სამსჭვალს დაჰკრეს.
ჯერ მის ძვლებში კი არა.
ოთხი ლურსმნის ჯოჯოხეთმა
შენს გულში გაიარა!

ცა გაირღვა. გლოვის ზარით.
როცა ნათლით მოსილი.
კალთაში რომ ჩაგისვენეს
ჯვრიდან გარდამოხსნილი.

ის მოთქმა და დატირება
ბევრჯერ წამოდუღდება –
მუცლით ცხრა თვეს ნატარები
შვილი დედას უკვდება!...
შენთვის ისევ ჩვილია და.

მაცხოვარს. ზეციერსო.
მისდევ
გულამოვარდნილი:
არ წამეკცე. იესო!...

მგალობელი კელაპტრები
შენკენ მოიჩქარიან –
დაისვენე.
ღვთისმშობელო.
მიიძინე.
მარიამ!

ვანო ჩხიკვაძე
14.08.2024

„გმადლობ, მეგობრის ლექსო“!

ალბათ, ასეთ ლექსს უხდიდა მადლობას კვლავაც ხეირიანად ვერდაფასებული ქართველი პოეტი, ცხონებული ზაურ ბოლქვაძე.

გამოგიტყდებით, თავიდან სხვა სათაური მქონდა ჩაფიქრებული – იმასაც გაგიმხელთ: „გალაკტიონის „დედაო ღვთისას“ მახლობელი“.

ძალიან უნდა „მოინდომო“, ვანო ჩხიკვაძის მრავალმხრივი შემოქმედება ვერ ,,შეამჩნიო“, სამწუხაროდ, ასეთი ქვეშეგრძნობიც არსებობენ, მაგრამ, საბედნიეროდ, „ქარავანს“ ძაღლის ყეფა ვერ შეაჩერებს.

ასაკი არ მაძლევს გარანტიას, რომ ვანო ჩხიკვაძის, როგორც რჩეულთა შორის რჩეული პოეტის, საბოლოო აღიარებას მოვესწრო; ამიტომაც ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ ასე მოვიხსენიო!

შთამომავალი განსჯის!

რაგინდ ბევრს ეცადო, „სასწაულსა“ და „შემთხვევითობას“ შორის ტოლობის ნიშანს ვერ დასვამ.

სულაც არაა შემთხვევითი, რომ ვანოს სწორედ მარიამობის მარხვის დაწყებისას „უკარნახა“ განგებამ ლექსი „მიძინება“!

დიდი გალაკტიონი ბრძანებს: „დრო, დრო აღნიშნე“, ლექსს შექმნის თარიღი მოაწერეო. ჰოდა, მარიამობის მარხვის კვირაძალს, გამთენიისას, ზეზე ძილ-ბურანში მყოფი პოეტი ერთადერთმა ფრაზამ – „მიიძინე, ღვთისმშობელო მარიამ“! წამოაყენა და ბოლომდე ჩამოამარცვლინა კიდევაც ლექსი „მიძინება“ .

...და ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც ოლიმპიადის დაწყებისას, საბოლოოდ ჩამოიხსნეს პირბადე ევროპელმა ნეოლიბერალებმა და „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ფონზე, „საიდუმლო სერობის“ გამამასხარავებელი პერფორმანსი შესთავაზეს მილიარდობით ტელემაყურებელს!

...და ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც „მსოფლიო მოქალაქემ“, მხოლოდ პანსიონში მიღებული განათლების კინოლეგენდამ, თურმე, გენიალურად მოაზროვნემ, ვაჟა-ფშაველას მკითხველმა და დამფასებელმა ალენ დელონმა სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე რომ დაუსვა უტყუარი დიაგნოზი თანამედროვეობას: „ეს ეპოქა უკვე მეზიზღება და მაწუხებს; ყველაფერი ყალბია, მხოლოდ ფულს ანიჭებენ მნიშვნელობას“!

ვანო ჩხიკვაძის ლექსის დაბადება სწორედ ახლა ინება განგებამ! განგებამ, რომელსაც ხელეწიფება ღვთისმგმობელთა ძლევა!

გმადლობ, მეგობრის ლექსო!

გიზო ზარნაძე
19/08/2024

დღესასწაულს გილოცავთ!

28 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მარიამობას დღესასწაულობს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება ღვთის მადლით იყო გაბრწყინებული. იგი მოციქულთა მსგავსად სიტყვით და ლოცვით განამტკიცებდა ჩვენს დედაეკლესიას, მთელ ქრისტიანულ სამყაროს...

ქრისტიანები დედაღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომ მის ყოველ სიტყვას და საქმეს იმახსოვრებდნენ. სწორედ ქრისტიანებმა შემოგვინახეს ქალწული მარიამის ხასიათის და გარეგნობის აღწერაც.

იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებიდან მე-17 წელს 28 აგვისტოს მიიძინა მარიამ ღვთისმშობელმა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა...

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს არც მიძინების შემდეგ მიუტოვებია ქვეყნიერება და დღესაც მეოხია ყველასი, ვინც მას მიმართავს: **„დედუფალო, გვაცხოვნე ჩვენ და შეგვენიე ჩვენ!“**

P. S. მინდა, დღევანდელი დღესასწაული და დაბადების დღე მივულოცო დიდუბის ტაძრის გამორჩეულ მოძღვარს, მამა დავითს, მინდა, ვუსურვო ჯანის სიმრთელე, წელთა სიუხვე და მრავალჟამიერ სიცოცხლე!

ამინ.

წირვის შემდეგ ჩვენი მგალობლები ამბიონიდან გულით უგალობენ მამა დავითს: „მრავალჟამიერ სიცოცხლე მისი“.

გიული ლიპარტია

„ჩემი ოდიში უკვდავებას ემაისება“...

პაპაჩემი პოლიო აბრამია

...ღამის ფერს გახუნება ჯერაც არ დაეწყო, კაცი ლოგინიდან ფრთხილად რომ წამოდგა, დიდ ოთახში მაგიდაზე მდგარი ლამპა არც აუნთია, ტანთ ისე ჩაიცვა, ჯერ კიდევ ომამდე ნაყიდი ძველი დრაფის პალტო მოიცვა და პატარა ოთახის კართან მივიდა, ფრთხილად გამოაღო და შეიხედა. თავის ქალიშვილსა და პირმშოს ეძინათ, მაგრამ ბავშვი მალე გაიღვიძებდა, ამიტომაც უნდა ეჩქარა. ნოემბრის ჭყაპიან სუსხში სახლიდან ფეხაკრეფით გავიდა და ავლაბრის გზას ვორონცოვის მოედნით გაუდგა... ერთ საათში კი გულის შემაწუხებელი წვიმით დასველებული, ჩქარი სიარულით გულამოვარდგილი, მაგრამ ბედნიერი, შინისკენ იმავე გზით ბრუნდებოდა და დროდადრო ხელით სინჯავდა უბის ჯიბეში ძროხის ახლადმოწველილ თბილ რძეს, რომელსაც შვილიშვილი გაღვიძებისთანავე მოითხოვდა ხმამაღალი ტირილით... ჭირვეული პატარის დედას – მერის რძე თითქმის არ ჰქონდა...

ეს სურათი ხშირად წარმომიდგება ხოლმე თვალწინ, როცა დღევანდელი აღმაშენებლის – იმდროინდელი პლეხანოვის პროსპექტის ახლადგაკეთებულ საფეხმავლო უბანში იმ სახლს ჩავუვლი, სადაც დავიბადე და ფეხი ავიდგი: ის ახალგაზრდა ქალი დედაჩემი მერია, თავად ის კაცი – ჩემი უსაყვარლესი პაპა პოლიო, ის პაწია ბიჭი კი, რომელსაც ჯერაც უდრტვინველად სძინავს – თავად მე გახლავართ: ვიდრე ძიძას, არაჩვეულებრივ პოლონელ ქალბატონ ნადეჟდას მომინახავდნენ, ყოველ ცისმარე დღეს პაპა გათენებამდე ფეხით მიდიოდა ავლაბარში და ჩემთვის რძე მოჰქონდა – დარსა თუ ავდარში...

ესაა პაპის შესახებ ჩემი პირველი მოგონება, რომელიც, ცხადია, გადმოცემით, დედისგან ვიცი...

პაპაჩემი – ცნობილი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და ჟურნალისტი პოლიო ერმილეს ძე აბრამია 1899 წლის 28 აგვისტოს დაიბადა სოფელ ხორგაში და 1975 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა თბილისში. 1917 წელს, ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1920 წელს იგი შევიდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში, ხოლო 1922 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ლიტერატურული მოღვაწეობა მან ადრევე დაიწყო: მისი პირველი ლექსი „პოლიო ოდიშელის“ ფსევდონიმით ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ ჯერ კიდევ თავისუფალ საქართველოში, 1918 წელს დაიბეჭდა. ერთხანს თანამშრომლობდა ქუთაისში გამომავალ ალმანახ „რიონთან“, 1925 წელს გამოსცა წიგნი „დევნილები“.

1923-1932 წლებში პოლიო აბრამია იყო ჟურნალ „რემედასის“ რედაქტორის მოადგილე, 1934 წელს გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ხოლო 1938 წელს დაინიშნა საქართველოს რადიოკომიტეტის ლიტერატურული გადაცემების მთავარ რედაქტორად.

ისევ დედის მონათხრობით ვიცი, რომ იმხანებში ჩვენი ბინის დიდ ოთახში, შემოსასვლელი კარის უკან, საგარეო ტანსაცმლის ჩამოსაკიდებელს მოფარებული, პატარა ჩემოდანს ჰქონდა ადგილი მიჩენილი, სადაც თბილი საცვლები, ნაქსოვი წინდები, სვიტერი და პირადი ჰიგიენის რამდენიმე ნივთი იდო, რომელიც კაცს უცბად შეიძლებოდა დასჭირვებოდა შორ გზაზე – მოგეხსენებათ, რა დროც იყო, პაპის უამრავი მეგობარი მწერალი, პოეტი, ლიტერატორი, უბრალოდ ახლობელი, სრულიად უდანაშაულო ადამიანი მაშინ მოუსავლეთის გზას გაუყენეს, ამდენად დაზღვეული არავინ იყო...

სამამულო ომის წლებში პაპაჩემი იყო გაზეთების „სამხრეთის ფრონტისა“ და „სამშობლოს ღირსებისათვის“ რედაქტორი, 1945-1947 წლებში – ჟურნალ „მთანობის“ განყოფილების გამგე, შემდეგ გაზეთ „კომუნისტის“ მთარგმნელი. 1962 წელს გამოვიდა მისი პოეტური კრებული „თეთრი აფრები“, 1966 წელს – ლექსთა კრებული „კოლხური კორდები“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე არაერთი პროზაული წიგნი, გალექსილი საბავშვო ზღაპარი, რომლებშიც უფროსებიც მრავალ საგულისხმო რასმეს წაიკითხავენ, ნათარგმნი აქვს უამრავი თეატრალური თუ რადიოპიესა, მოთხრობა, პოეტური ნაწარმოები, რომანი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტანტინე ფადეევის ერთობ გახმაურებული „ახალგაზრდა გვარდია“, ნიკოლოზ ოსტროვსკის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, ანტონ მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა“, ივანე ნიკიტინის „ტევტონი და არაბი“, სხვები. მისი ლიტერატურული ფსევდონიმები იყო „გაიდე“, „ლაზი“, „მეგრელი“, „პ. კოლხი“, „პ. ოდიშელი“, „პ. ა.“, „ხორგელი“ და სხვ.

წეღან, პაპის რადიოს მთავარი რედაქტორობის დროს (სწორედ ასე ვეძახდი მას!) – და მერეც! – კარს უკან პატარა „საპატიმრო“ ჩემოდნის ამბავი რომ ვახსენე, ისიც ვთქვი, რომ იმ ავბედით დროს მისი ბევრი მეგობარი მწერალი დააპატიმრეს. მოგეხსენებათ, შემოქმედთა თანამეგობრობებში, მათ შორის ლიტერატორთა ამქარშიც, არც ახლა არის და არც იმ დროს იყო უცხო არასაკადრისი ვნებათაღელვები, მაგრამ არის და იყო ჭეშმარიტი, უღალატო მეგობრობაც, ერთმანეთის გატანაც და ნიჭის გულითადი აღიარებაც. ასეთი მეგობრობა პაპაჩემს ჰქონდა ბევრ ქართველ თუ სხვა ეროვნების მწერალთან, მინახავს მისი გულითადი მიმოწერა რუს, უკრაინელ, კავკასიელ ლიტერატორებთან, მაგრამ განსაკუთრებულად თბილი და სიყვარულიანი ურთიერთობა მაინც თავისი კუთხის ხალხთან, კოლხებთან აკავშირებდა. გონებაში ღრმად ჩამებეჭდა ერთი მისი გულისტკივილიანი ნაამბობი: **„1956 წლის 10 თუ 11 მარტი იყო, რუსთაველის პროსპექტით მწერალთა კავშირიდან მოვდიოდით მე, ალიო მირცხულავა და კონსტანტინე გამსახურდია, მეგრულად ვლაპარაკობდით ჩვენს უბედურებაზე. უცბად, კავშირგაბმულობის სახლს რომ მივუახლოვდით, სამი ახმახი რუსი „ვანია-ავტომატჩიკი“ მოგვადგა – სამი კაცი იმ დროს უკვე თავყრილობას, ლამის შეთქმულებაში მონაწილეობას ნიშნავდა! – კოწიას ნეკნებში მიარტყეს ავტომატის ლულა, მე – ჭაჭებში მომხვდა, კონდახი ალიოსაც უთავაზეს: „А ну, проходите, проходите, да побыстрее, суки! Ещё лаются на своём собачьм языке, хрен его знает, что они еще замышлят!..“ დიდხანს გვქონდა დალურჯებული გვერდები მეც, ალიოსაც და კოწიასაც, მაგრამ იმ მწარე დღეების იარები კვლავაც მოუშუშებელი დაგვრჩა სამთავეს...“**

გალაკტიონის პოეზია დედაჩემს სიცოცხლის ბოლომდე ქვეყანაზე ყველაფერს ერჩივნა, მისი მხატვრული პორტრეტის გამოსახულებიანი საფოსტო ღია ბარათი „მე და ღამე“ სამივე შვილს სამახსოვრო წარწერებით გვაჩუქა. სკოლის დამთავრების შემდეგ დედაც მამის კვალს გაჰყვა და დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა, ამდენად, ქართული ენა და ლიტერატურა ყოველთვის მის საყვარელ სასწავლო საგანთა რიცხვს განეკუთვნებოდა. ჰოდა, ერთხელაც, ქართულში თავისუფალ თემად გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან რაღაც თემა ისე კარგად დაუწერია, რომ წლების შემდეგ პაპას გალაკტიონი, რომელთანაც მეგობრობდა, სადილად რომ მიუწვევია, დედას ოპუსიც გაუცვნია. დიდ გალას დედას ნარკვევი შეუქია, მეც ხელში აუტაცებივარ, რაც „თავისებურად“ აღმინიშნავს და მისთვის პიჯაკიც კარგა გვარიანად დამისველებია...

გალაკტიონთან განსაკუთრებული ურთიერთობის ერთი დამადასტურებელი საბუთი დღემდეა შემორჩენილი ვიკიპედიის გვერდზე, სადაც პოლიო აბრამიასადმი მიძღვნილი ამ ბარათის ფაქსიმილე დევს:

„ძვირფასო გალაკტიონ!

სულითა და გულით გილოცავ დაბადებიდან 50 წლისთავს. იყავი სულ კარგად, მარად მებრძოლი, ჭაბუკი მეფე მსოფლიო პოეტებისა.

ჩემო გალაკტიონ, მძიმე ავადმყოფობის გამო მე ვერ დავესწრები შენს დღესასწაულს... ძალიან ვწუხვარ, ძალიან... ჩემს გოგონას სათხოვარი აქვს შენთან და ვერ გაუბედნია. კავშირიდან მხოლოდ ერთი ბილეთი გამომიგზავნეს. ამით ჩემი ოჯახობა მოდის, თუ კიდევ ორ შესასვლელ ბილეთს მოახერხებ, სამაგიერო პატივისცემა ჩემზე იყოს.

შენი პოეზიის მოტრფიალე ახალგზარდობას უარს ნუ ეტყვი.

მარად შენი პოლიო“.

მე უკვე დიდი ბიჭი ვიყავი, სკოლას ვამთავრებდი, ამდენად კარგად მახსოვს, თუ როგორი თბილი ურთიერთობა ჰქონდა პაპას ჩვენს დიდებულ პიროვნებასთან და პოეტთან მურმან ლებანიძესთან, რომელიც მისი პოეტური კრებულის „კოლხური კორდების“ წინასიტყვაობის ავტორი გახლავთ.

„პოლიო აბრამიას ლექსებისათვის ნიშანდობლივია ინტიმურობა. არა მაჟორული შეძახილებით, არამედ ხმადაბლა, უპრეტენზიოდ, გულითადად უმღერის იგი ყოველივეს, რაც მისთვის სიმღერის წყაროა: პირველ ხუთწლედებს და ახალ საქართველოს, ქართველი ხალხის დღევანდელობას და მის გმირულ წარსულს, მშობლიურ კოლხეთს, აჭარას, მესხეთს, ოდიშს. სიმღერის წყაროა მისთვის ახალი თბილისი, ქართველ მოღვაწეთა, ქართველ მამულიშვილთა ნათელი სახელები.

„უამთადენაში ყველა ტკივილს მიეძინება,
მტარვალთა თარეშს მოაშუშებს აღორძინება,
გაქრება გულში ანთებული ბოღმის ხანძარი!

დაგავიწყდება მძიმე ტანჯვა, ძველი ჭრილობა
და გაგიტაცებს არწივული მხარგაშლილობა,
რადგან სამშობლო გაბედულად მზისკენ
დასძარი!

მაგრამ არასდროს მოგასვენებს
ერთი ნაღველი:
დიდი ნახმლევი – „გულგამგმირი
კრწანისის ველი!“

მურმან ლებანიძე

ბაბუა და შვილიშვილი — პოლიო აბრამია, ოთარ ფურაბელიძე (1968 წელი)

დარწმუნებული ვარ – ჩემთვის, ისევე, როგორც ყველასთვის, მამა-პაპათა ნათელ ხსოვნას ბევრი, გულიდან მარად ამოუშლელი, ლამის ცოცხალ სურათად გაცხადებული ამბავი უკავშირდება. ერთი ასეთი ამუამადაც ცხადად მიდგას თვალწინ: ცხოვრების უკანასკნელი, მძიმე სენის სიმძიმით გატანჯული წლები, პაპაჩემმა იმხანად ლენინგრადის (ამუამად სანკტ-პეტერბურგის) მყუდრო ქუჩის N10-ში გაატარა, რომლის სადარბაზოს ახლაც ამშვენებს სამახსოვრო აბრა.

მე და ჩემი და-ძმა, ისევე, როგორც თავის დროზე ჩვენი მშობლები, თბილისის

ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდით, რომელიც მანამდე ქალთა გიმნაზია იყო და მამის დედას ნინა ვორობიოვასაც ჰქონდა დამთავრებული, ერთ დღეს, სწავლების მეორე ცვლის შემდეგ, უკვე მოსაღამებულზე, სკოლის ეზოში მეხუთე კლასის მოსწავლეს ჩოგბურთის ბურთით ნათამაშევს, შინ დაბრუნება შემაგვიანდა და თავგქუდმოგლეჯილი სახლისკენ გავრბოდი – დედაჩემი მომკლავს-თქო! – როცა ლენინგრადის ქუჩის და პლეხანოვის კუთხეში თავით მუცელში ვიღაც კაცს დავეტაკე. „ხოხ!“, – შესძახა გაკვირვებულმა, წელში გამასწორა და... პაპაჩემს არ შევრჩი ხელში! „რა არის ეს, პაპი?!“ – მკითხა განუმეორებელი კოლხური კილოთი გაკვირვებულმა და, როგორც მერე, გაცილებით გვიან მივხვდი, მართლაც საოცარი სანახავი ვიქნებოდი: დამტვერილი შარვალი, გვერდზე მოგდებული პიონერის ყელსახვევი, ამოჩანჩული და დაჭუჭნილი თეთრი პერანგი... „როგორ შეიძლება დედას დაენახო ასე, გაგიუდება... წამოდი ჩემთან!“ – მითხრა. – „დედა გამიჯავრდება მაგრად!“ – თავი შევაცოდე პაპას. „ნუ გეშინია, მე წამოგყვები და არ დაისჯები!“ – დამამშვიდა. მოკლედ, ამიყვანა სახლში, რასაც ჰქვია „გამრეცხა და დამაუთოვა“ და შინაც მშვიდობით მიმიყვანა, თან ჩუმად ფულიც მაჩუქა – ხვალ „ბუფეტში“ კლასელები დაპატიჟეო!..

აი, ასეთი თბილი და გულიანი კაცი იყო ჩემი საყვარელი პაპა და მთელი ცხოვრება მახსოვს იმდღევანდელი მისი დარიგება: ახლა შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, შარვალიც შენით უნდა დაიუთოვო და პერანგიც, ფეხსაცმელიც სულ გაწმენდილი უნდა გქონდესო...

მის ლექსებს რომ ვკითხულობ და მათ გეოგრაფიას ვაკვირდები, როგორ ერთი გზებით გვივლია თურმე მე და პაპაჩემს, ოღონდ ოთხი-ხუთი ათეული წლის განსხვავებით – კახეთში, აჭარაში, მესხეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლში, ქუთაისის ჯადოსნურ კუთხეებში თუ თბილისის ნაცნობ ქუჩებში... ბევრი ერთნაირად გვყვარებია, ბევრი რამე ერთნაირად გვტკენია...

ოთარ ტურაბელიძე

დღეს გთავაზობთ პოლიო აბრამიას რამდენიმე ლექსს.

ოდიშური კორდები

რა გასაოცრად ფერადობს ველი,
ვარდყვავილებით მკერდმოხატული,
თვალს მტაცებს მისი ტანსაბურველი
და ჩვენებური თეთრი ზათხული.
აი, ოდიში, ყველგან ნაქები,
ცა მოიისფერო, უფრო მაღალი;
კიდით-კიდემდე მწვანე ბაღები,
ოდასახლები... ახალთ-ახალი,
ვის არ მოხიბლავს მათი მშვენება
და უნაზესი ლურჯი ფერები,
ქალწულებრივი უცხო ჩვენება,
გადაფარჩული მთების სერები.
ნეტავი ვიყო მუდამ მის ახლოს
და თუნდაც მედგას ფაცხა მეგრული,


1917 დიდი ოქტომბრის 1979
სოციალისტური რევოლუციის 62-ე წელი

28
აგვისტო

ამოღის 6.22
ჩადის 19.42
დღის ხანგრძლივობა 13.20

ახალი მთვარე
22 აგვისტოს
ამოღის 11.29
ჩადის 22.10

— 240 + 125

სამშაბათი

75 წლის წინათ, 1904 წლის აგვისტოში, შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტი.

80 წლის წინათ დაიბადა პოლიო აბრამია (1899—1975), ქართველი საბჭოთა მწერალი.

პოლიო აბრამია



რომ მარად კარის მგოსნად ვეახლო,
მისი სიტურფის ტყვე და ერთგული.
ვიცი, ცხოვრებას გამიადვილებს
მისი სუნთქვა და მისი ქედები.
ფეხს არ მოვიცვლი! მე ამ ადგილებს
მამა-პაპურად შევაბერდები!

შეკითხვა მთვარეს

მთვარევ, შენ უწყი უსასოო გოდება გულთა
და საიდუმლო, სიყვარულით დამწვარ-დაგულთა,
მაგრამ ნუგეში არავისთვის არ მიგიცია.

მე სიყვარულზე არას გკითხავ, მთვარეო ჩემო,
თუნდ წამში ასჯერ იტრიალო მიწის გარშემო,
თუმცა ფიალა უკმარობით ვერ დამიცლია!

მითხარი მხოლოდ: რად დამჩემდა გულის ფრიალი,
რად ვარ კოლხური კაკაჩია ღამის ტრფიალი?

ყვარელი

საქართველოში განა ცოტა არის სოფელი,
ჩვენი სამშობლოს მშვენება და შემამკობელი,
მაგრამ სულ სხვაა ქართველისთვის, ძმაო, ყვარელი!
აქ ამობრწყინდა დიდ ილიას ფიქრის ნათელი,
ჩვენი გონების სიბეჩავის მიმომფანტველი,
ამიტომ არის ის ძვირფასი და საყვარელი!

და ვიდრე ცაზე არ გაქრება მზის ელვარება,
ქართველს ყვარელი და ილია სულ ეყვარება!

თმოგვის ციხესთან

რამდენი მთა და მწვერვალია კიდიდან-კიდე,
ყველგან ციხეა, რომ დაეცვა ჩვენი სიმშვიდე,
მეც, თქვენთან ერთად, ვარ იმათი თაყვანისმცემი!

აქ ტრიალებდა წინაპარი – შუბით და ხმალით,
სჭვრეტდა მამულის დიდ მომავალს არწივის თვალით
და გვიანდერძა ეს ქვეყანა – შენი და ჩემი!

მზის სიმაღლეზე თავის მხრებით ამოგვატარა
ისე, რომ ქედი მტრის წინაშე არსად დახარა!

დედავ, შემინდე!

ნუ შემომცქერი აგრე კუშტად, ნუ მეკრძალები,
პირს ნუ მარიდებ, მომაპყარი ნდობით თვალები,
შენი ალერსით, მშობლიურო, დამიტკბე სმენა!

შენ მიმიხვდები, სხვაზე უფრო, განა, ვერ ვხედავ,
ვიცი შეგცოდე, შენდობას გთხოვ, ძვირფასო დედა!

კაკლის ხეები

ჩამწკრივებულან, გასცქერიან ასფალტის ტილოს,
ასე მოსდევენ კახეთისკენ მთელ საინგილოს,
ხშირი ფოთლებით დაბურულან, გააქვთ შრიალი!

მშობლიურ მიწის წიაღში აქვთ ფესვი გამდგარი
და რას დააკლებს ტრამალიდან მომსკდარი ქარი.
მაშ, რად დასჩემდათ უცნაური გულის ფრიალი?

რას ჩურჩულებენ, რა ატოკებთ მთელი დღეები,
რას მაბარებენ, შინ მიმავალს, კაკლის ხეები?

აზერბაიჯანი სამართლიანი, ლირსების მქონე სახელმწიფოა!

აზერბაიჯანმა ქვეყანაში შესვლა აუკრძალა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) დეპუტატებს, რომლებმაც ორგანიზაციაში აზერბაიჯანის დელეგაციის უფლებამოსილების რატიფიკაციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამის შესახებ განცხადებას აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

როგორც აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა აიხან ჰაჯიზადემ განაცხადა, პირები, რომლებმაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში აზერბაიჯანის დელეგაციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, „არასასურველ პირთა“ სიაში შეიყვანეს.

„ზემოხსენებული პირები აზერბაიჯანში თუ ჩამოვლენ PACE-ში ჩვენი დელეგაციის მანდატის აღდგენამდე, მათ უარს ეტყვიან ქვეყანაში შესვლაზე“, – აღნიშნავენ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ჰაჯიზადეს განცხადება იყო პასუხი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელის ფრანკ შვაბეს კრიტიკაზე, რომელმაც „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში აზერბაიჯანისა და რუსეთის ურთიერთობების გამო შეშფოთება გამოთქვა. შვაბემ ასევე განაცხადა, რომ აზერბაიჯანი არ არის დაინტერესებული ევროპის საბჭოს წევრობით და დაადანაშაულა ქვეყანა, რომ იგი არ იცავს ფასეულობებს, რომლებსაც ევროპის საბჭო ემსახურება. ასევე შვაბემ ისიც აღნიშნა, რომ აზერბაიჯანმა არ მიიწვია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრები ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად.

„აზერბაიჯან-რუსეთის ურთიერთობების შესახებ შეშფოთების გამოხატვისას, შვაბესთვის უფრო მართებული იქნებოდა, ესაუბრა იმ ადამიანებზე, რომლებიც გერმანიასა და PACE-ში თანამშრომლობენ რუსეთთან და დღესაც კი მჭიდროდ თანამშრომლობენ რუსეთის კომპანია „გაზპრომთან“, – ნათქვამია აზერბაიჯანის საგარეო უწყების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 2024 წლის იანვარში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, არ დაამტკიცოს აზერბაიჯანის დელეგაციის უფლებამოსილება. თუმცა ბაქოში არ დაელოდნენ ამ გადაწყვეტილებას და განაცხადეს, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას ტოვებენ.

დონალდ ტრამპი: შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომში აღმოვჩნდეთ!

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა „რესპუბლიკური“ პარტიიდან დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთში უკრაინის ჯარის შეჭრის გამო მსოფლიო, შესაძლოა მესამე მსოფლიო ომში აღმოჩნდეს.

„შეხედეთ, ახლა რა ხდება უკრაინის რუსეთში შეჭრასთან დაკავშირებით. ჩვენ შესაძლოა მესამე მსოფლიო ომში აღმოვჩნდეთ, და ეს ცუდი იქნება“, – განაცხადა ტრამპმა დეტროიტში აშშ-ის ეროვნული გვარდიის ასოციაციის წევრებთან შეხვედრისას.

რომის პაპი გმობს უკრაინის მიერ რუსეთის ქრისტიანული ორგანიზაციების აკრძალვას!

არცერთი ქრისტიანული ეკლესია არ შეიძლება აიკრძალოს, პირდაპირ ან ირიბად. ეკლესიებს არავინ უნდა შეეხოს, – თქვა პაპმა ფრანცისკემ ყოველკვირეულ ლოცვაში.

მან ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირის მქონე რელიგიური ორგანიზაციების აკრძალვას უკრაინაში. შაბათს კანონს ხელი უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოაწერა.

– ადამიანი ლოცვით ბოროტებას არ სჩადის. თუკი ვინმე თავისი ხალხის მიმართ სჩადის ბოროტებას, იგი დამნაშავეა. მაგრამ მას არ შეიძლება რაიმე ცუდი ლოცვით ჰქონდეს გაკეთებული. გთხოვთ, პირდაპირ თუ ირიბად არ გააუქმოთ არც ერთი ქრისტიანული ეკლესია. ეკლესიები ხელშეუხებელია, – განაცხადა რომის პაპმა.

REUTERS: სუდანში ძლიერმა წვიმამ კაშხალი გაარღვია!!!

სუდანის აღმოსავლეთ ნაწილში კაშხალი გაირღვა, რის შედეგადაც, სულ მცირე, ხუთი სოფელი განადგურდა.

ვარაუდობენ, რომ დაღუპულია ათობით ადამიანი.

ძლიერმა გადაუღებელმა წვიმამ ქვეყანაში წყალდიდობა და არბაატის კაშხალში წყლის დონის მკვეთრი მატება გამოიწვია.

კაშხალი სასმელი წყლის მთავარი წყარო იყო ქალაქ პორტ-სუდანისთვის, სადაც ქვეყნის მთავარი პორტი და მოქმედი აეროპორტი მდებარეობს. ადგილობრივ გარემოს დამცველთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ ქალაქს სასმელი წყლის დეფიციტი ემუქრება.

სუდანში კაშხლების, გზებისა და ხიდების დიდი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაში იყო ჯერ კიდევ სუდანის არმიისა და გასამხედროებულ ჯგუფებს შორის 2023 წლის აპრილში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე. შეიარაღებულმა დაპირისპირებამ ინფრასტრუქტურის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.



◎ პირველად

მანდილით — უშბაზე!

მარიამ გელაშვილი და მაია სიჭინავა – პირველი ქართველი ქალები, რომლებიც უშბის მწვერვალზე დამოუკიდებლად ავიდნენ, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაცია ავრცელებს.

„ქართველი ქალების პირველი დამოუკიდებელი ასვლა უშბის მწვერვალზე.

არჩილ ბადრიაშვილის ჭაუხის სპორტული ბანაკის მონაწილეები მარიამ გელაშვილი და მაია სიჭინავა ჭაუხის მოსამზადებელი სპორტული შეკრების შემდეგ ესტუმრნენ სვანეთს, სადაც წყვილში დამოუკიდებლად გაიარეს მწვერვალ თეთნულდის სამიანი და ოთხიანი სირთულის მარშრუტები, ავიდნენ სამხრეთ შხარაზე და ჩრდილოეთ უშბაზე.“ – წერს საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაცია.

◎ ყოჩაღ

იმედი ხვალის...

საჭიდაო რუკაზე იორდანიის დედაქალაქი ამანიც გამოჩნდა, სადაც 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა.

წარმატებულად შეიძლება შეფასდეს ქართველ ფალავანთა მონაგარი – 5 მედალი.

თავისუფალი ჭიდაობა: ოქრო – კონსტანტინე პეტრიაშვილი (ოლიმპიური ჩემპიონის გენო პეტრიაშვილის ძმა), **ვერცხლი** – ნიკოლოზ მაისურაძე.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: ვერცხლი – ვახტანგ ლოლუა. **ბრინჯაო** – გიორგი ალადაშვილი, ვლადიმერ მინაძე.

◎ სპექტაკლი მარადონაზე

გაბრაზეთ კვარადონა!

რას არ მოდავდნენ არაკეთილმოსურნენი – აქაოდა, რაც ცოლი მოიყვანა, კვარას ფეხბურთი დაავიწყდაო, ან სულაც – პირველი იტალიური სეზონი იმიტომ დახურა, რომ არავინ არ იცოდა მისი სათამაშო სტილი და სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ მეტოქეთა მცველებიო.

იუზგარ – ხვიჩა უკვე დამიანეს მამაა და ანტონიო კონტეს გუნდის ახალი ბირთვი მის გარშემო დუღაბდება.

დიახ – სადღა არიან კიმი, ლოზანო, ჟელინსკი, რუი კოშტა და ოსიმენი? სამაგიეროდ, ადგილზეა კვარაცხელია, რომელსაც მემკვიდრის დაბადებამ ცეცხლი მარადონას სტადიონზე შარშანდელი სერია – ა-ს აღმოჩენასთან ბოლონიასთან დაანთებინა, ხოლო შემდეგ მომთხოვნ და გემოვნებიან აპენინურ საიტებს აქამდე არნახული შეფასებები გაამეტებინა.

თანაც, არ დაგავიწყდეთ – ეს კალჩოს სასტარტო შეხვედრაში ვერონასთან კოლაფსის (0:3) შემდეგ მოხდა, სადაც თვით ჯვაროსანი შესვენების წინ შესაცვლელი გახდა თავში მასპინძელთა მცველ დავიდოვიჩისგან მიღებული მძიმე დარტყმის გამო.

რაც შეეხება ერთი მსახიობის თეატრს, წარმოდგენა პირველი ტაიმის მიწურულს დაიწყო, როცა კვარადონას გამოზომილი თაურის შემდეგ სტუმრები ძელმა იხსნა, რამდენიმე წუთში კი ხვიჩამ კაპიტან დი ლორენცოს ისეთი ფილიგრანული საგოლე გადაცემა მიართვა ლანგრით, ბევრს კარიერის საზომად რომ ეყოფა.

ანტრაქტის შემდეგ სპექტაკლი ისევ კვარას შორეულმა გასროლამ გამოაცოცხლა, რასაც რიკოშეტი და ანგარიშის გაზრდა მოჰყვა, ხოლო წერტილი დებიუტანტი ბრაზილიელი ფლანგელის ნერეშის დრიბლინგის შემდეგ ახლოდან სიმეონემ დასვა – 3:0.

მოკლედ, ჩვენ თვალწინ ახალი ნაპოლი იბადება, რომელსაც შაბათს ისევ შინ პარმასთან შესაძლებელია ლუკაკუ და მაკტომინეიც შეემატონ, პირველ ვიოლინოდ კი კვარაცხელია ყალიბდება!

◎ 20 წლის ექო

ათენი 2004

„ოლიმპიკ ჩამპიონ ზურაბ ზვიადაური!“ – დიქტორი ქალბატონის – კიმ ვილინგჰემის მჭექარე ხმას მაყურებელთა მქუხარე ოვაცია მოჰყვა. „ანო ლიოსიას“ ოლიმპიური სპორტის სასახლის ექვსი ათასამდე გულშემატკივრით გადაჭედილი ტრიბუნები ერთიანად ფეხზე წამოიმართა. დამბურძგლა. საოცარი სანახავი იყო ეს. მსგავსი რამ, რაც იმ დარბაზში ვიგრძენი, არასდროს განმიცდია.

დიახ, მქონდა ბედნიერება, 20 წლის წინათ ათენის ოლიმპიურ თამაშებს დავსწრებოდი, როგორც ჟურნალისტი. ქართული სპორტისთვის, და ჩემთვისაც, დაუვიწყარია 2004 წლის აგვისტო, როცა დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელი გუნდის წევრებმა ელადის დედაქალაქში 2 ოქრო და 2 ვერცხლი მოიპოვეს.

მეხუთედი საუკუნის გადასახედიდან ურიგო არ იქნებოდა მაშინდელი ზოგიერთი ეპიზოდის გახსენება.

14 აგვისტო

ვერცხლის თამასა

ოლიმპიადის პირველ დღეს ერთბაშად სპორტის 20 სახეობაში გაიმართა პაექრობები. ქართველებმა „ანო ლიოსიას“ სასპორტო დარბაზს მივაშურეთ, სადაც 60 კილოგრამი წონითი კატეგორიის ძიუდოისტები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ეს მშვენიერი სასახლე პრესცენტრიდან ნახევარი საათის სავალზეა. მთაგორიან ადგილას აუშენებიათ. მიმდებარე ტერიტორიაზე მცხუნვარე მზისგან ფოთლებგახუნებული ზეთისხილის ხეების კორომებია. ანტიკური ოლიმპიადების გმირებს სწორედ ამ ხეების შტოებისგან მოწნული გვირგვინებით ამკობდნენ. თამაშების ეს მივიწყებული ტრადიცია ათენის ოლიმპიადაზე აღადგინეს. ქართველ სპორტსმენთაგან ზეთისხილის გვირგვინი პირველ დღესვე ძიუდოისტმა **ნესტორ ხერგიანმა** მოიერგო.

ევროპის ორგზის ჩემპიონმა და ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორმა, 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანმა, გამოცდილმა ფალავანმა ნესტორ ხერგიანმა ზედიზედ დაამარცხა ესპანეთის სახელით მოასპარეზე ქეიძი უემაცუ, ყაზახი ბაზარბეკ დონბაი, რუსი ევგენი სტანევი, ირანელი მასუდ ჰაჯი ახუნზადე და ფინალში გავიდა, სადაც 30 წლის იაპონელს, მსოფლიოს და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ტადაჰირო ნომურას დაუპირისპირდა, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე ოთხ მოგებას მხოლოდ 3 წუთი და 37 წამი მოანდომა.

გადამწყვეტი შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა, ილეთის გაკეთება ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო. მსაჯებმა ორჯერ გააფრთხილეს ქართველი ძიუდოისტი, იაპონელი – ერთხელ და სწორედ ამ მცირე უპირატესობით მოიპოვა ნომურამ მესამე ოლიმპიური ოქრო, ხერგიანი მეორე ადგილს დასჯერდა. თუმცა ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველმა ოლიმპიელებმა დამოუკიდებელი გუნდით ატლანტასა და სიდნეიში 8 ბრინჯაო მოიპოვეს. ეს შედეგი ათენში ხარისხობრივად ოლიმპიადის პირველსავე დღეს გაუმჯობესდა.

17 აგვისტო

სახეგაბადრული მამლუქი

– ილიას... ილიას... ილიას! – ზანზარებდა „ანო ლიოსიას“ დარბაზი. საბერძნეთის ეროვნული დროშების ტყეს დაეფარა ტრიბუნები. ტატამის კუთხეში ლურჯკიმონოიანი ბრგე ვაუკაცი რომ გამოჩნდა, უფრო აბღავლდა ქომაგთა დიდი არმია. ახალგაზრდამ ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა გულშემატკივრებს. ფინალში მან შავი დღე აყარა უკრაინელ რომან გონტიუკს – ზედიზედ აართვა იუკო, ვაზარი და ბოლოს 2 წუთსა და 6 წამში იპონით გაიმარჯვა.

ქომაგთა ტაშის გრიალში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ილიას ილიადისი, ბერძენთა ახალი კერპი, რომელსაც 15 წელიწადი საქართველოში **პარპი ზვიადაურად** იცნობდნენ. დიახ, ჯარჯი ზვიადაური, ჩვენი ზურაბ ზვიადაურის ალალი ბიძაშვილი... ქართული სპორტის ისტორიაში მეოთხე ძიუდოისტია შოთა ჩოჩიშვილის, შოთა ხაბარელისა და დათო ხახალეიშვილის შემდეგ, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი დაიმსახურა, ვაგლახ, რომ არა საქართველოს სახელით.

18 აგვისტო

არის, ასრულდა ოცნება!

თორმეტი წელიწადი ელოდა ჩვენი ქვეყანა ამ ბედნიერ წუთებს. დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება 2004 წლის 18 აგვისტო – ამ დღეს ქართველმა ძიუდოისტმა **ზურაბ ზვიადაურმა** ოლიმპიური თამაშების

ოქროს მედალი მოიპოვა.

ახმეტელმა ფალავანმა ჯერ ევროპის 2004 წლის ჩემპიონ იტალიელს – ფრანჩესკო ლეპრეს აჯობა, მერე მის გზას გაუყენა რუსეთელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი ხასამბი ტაოვი, მსოფლიოს და ევროპის ფრანგი ექსჩემპიონი, სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ფრედერიკ დემონფოკო, რომელმაც 2001 წელს მიუნხენის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ზურაბს ოქროს მედალი „ამოაცალა“ ჯიბიდან. ნახევარფინალში ინგლისელ ვინსტონ გორდონს სძლია, ფინალში კი იაპონელ ჰიროში იზუმისთან შეხვედრა 3 წუთსა და 3 წამს გაგრძელდა. სწორედ ამ დროს სასწაული რამ მოხდა – ქართველმა ფალავანმა რაღაც საოცარი ილეთით ამოაყირავა მეტოქე და ბეჭებით გააკრა ტატამს, რამაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ასე ნანატრი გამარჯვება მოგვიტანა.

19 აგვისტო

მარმარილოს სტადიონი

შეჯიბრებებისგან სულის მოთქმის საშუალება მომეცა და ელადის დედაქალაქის უიშვიათესი და პოპულარული ღირსშესანიშნაობის – მარმარილოს სტადიონის დათვალიერება გადავწყვიტე.

თვალისმომჭრელად ლამაზია მსოფლიოში ერთადერთი პანათენური, მხოლოდ თეთრი მარმარილოსგან აგებული სარბიელი „პანათინაიკოსი“, რაც ბერძნულად შესანიშნავ მარმარილოს ნიშნავს. ის ჩვენს ერამდე 329 წელს ათენის მმართველ ლიკურგეს ინიციატივით აუშენებიათ. 140 წელს სტადიონი განუახლებიათ და გაუფართოვებიათ. იმ დროისთვის მისი ტრიბუნები თურმე 50.000 მაყურებელს იტევდა. მე-19 საუკუნის შუა წლებში უძველესი ნაგებობის ნარჩენები გამოჩხრიკეს და აღადგინეს ბერძენი პატრიოტის - ევანგელოს ზაპასის შემწეობით 1870 და 1875 წლების სასპორტო შეჯიბრებების გასამართავად.

მე-19 საუკუნის მიწურულს უმდიდრესმა ალექსანდრიელმა ბერძენმა გეორგიოს ავეროფმა, რომლის ქონება 100.000.000 დრაჰმას აღემატებოდა, პირველი აღორძინებული ოლიმპიური თამაშებისთვის სტადიონის სარეკონსტრუქციოდ მილიონი დრაჰმა შესწირა ოქროთი. მას უყვარდა სამშობლო და ქვეყნის საკეთილდღეოდ აურაცხელ თანხას ხარჯავდა. სტადიონის წინ გულუხვი მეცენატის მარმარილოს ძეგლი დგას.

20 აგვისტო

15 ათასი ევრო გამარჯვებისთვის

მერცხალივით აიჭრა ჰაერში. რამდენიმე თავბრუდამხვევი წინყირა, უკუტრიალი... და სამსჭვალივით დაერჭო ტრამპოლინოზე. იქუხა დარბაზმა...

– მეტი არაფერი მახსოვს. გონს მხოლოდ მაშინ მოვეგე, მწვრთნელმა გულში რომ ჩამიკრა, – იტყვის პაექრობის შემდეგ ბატუტზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი **ანა დოლონაძე**, მცხეთაში დაბადებულ-გაზრდილი სპორტსმენი, რომელმაც ოქრო ალეგანებს მოუტანა.

დარბაზიდან გამოსული ჟურნალისტთა ალყაში მოექცა – სეტყვასავით დააყარეს კითხვები. თვალები უბრწყინავდა. უსაზღვროდ ბედნიერს სახიდან ღიმილი არ მოშორებია. ნახევარ საათზე მეტ ხანს მომიწია ცდამ.

– პირველი თქვენ ხართ, ვინც მშობლიურ ენაზე მომილოცა გამარჯვება. მადლობელი ვარ, – მითხრა ანამ, როცა მოიცალა. ჩემდა გასაკვირად, ათი წლის წინანდელი ჩვენი ინტერვიუც გაიხსენა...

ვაჟა დანელია

გაგრძელება იქნება

სოფელ ჭალადიდში ძმამ ძმა დაჭრა

არსებული ინფორმაციით, დაჭრილია 65 წლამდე ასაკის მამაკაცი. ჭრილობები ნამგლით თავისა და სახის არეში აქვს მიყენებული. შემთხვევას წინ ძმებს შორის ყოფით ნიადაგზე დაწყებული შელაპარაკება უძღოდა.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბიგადამ დაშავებული კლინიკაში გადაიყვანა. დაჭრილი მამაკაცის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც ,,აიპრესს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის ნაკლებ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. სავარაუდო დამნაშავე დაკავებულია.

გამომძალველები საზღვარგარეთ მყოფ კრიმინალებს ეხმარებოდნენ...

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში დახმარების, ასევე სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტებზე სამი პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 1990 წელს დაბადებული ნ.ბ., 1993 წელს დაბადებული ტ.ნ. და 1998 წელს დაბადებული რ.ბ.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვარგარეთ მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებს დიდი ოდენობით თანხების გამოძალვაში ეხმარებოდნენ.

დაკავებულები მათი დავალებით, სხვადასხვა დროს, მოქალაქეებს სიცოცხლის მოსპობის, ასევე, ქონების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით თანხებს სთხოვდნენ, ხოლო უარის მიღების შემდეგ, მოქალაქეების დაშინებას ცდილობდნენ და ქონებას უზიანებდნენ.

ნონა გაფრინდაშვილი: არ ვიცი, რატომ მოჰყვა აჟიოტაჟი, რა არის ამაში ცუდი?

თბილისში ქალთა მსოფლიო გრან პრი მიმდინარეობს. საჭადრაკო ტურნირის მეექვსე ტურის ლიდერთა შეხვედრაში საპატიო პირველი სვლა ცოტნე ივანიშვილმა გააკეთა, რასაც სოციალურ ქსელებში ნაცისტური აურზაური მოჰყვა.

„რა არის ამაში ცუდი? არ ვიცი, რატომ მოჰყვა აჟიოტაჟი. ეს უნდა ჰკითხოთ იმათ, ვინც აჟიოტაჟი ატეხა“, – აღნიშნავს ნონა გაფრინდაშვილი.

ცნობისთვის, ამ თემაზე განმარტება გააკეთა ჭადრაკის ფედერაციამ, რომლის ფაცებოოკ პოსტიდანაც თავდაპირველად გახდა ცნობილი, რომ ქალთა მსოფლიო გრან პრიზე საპატიო პირველი სვლა ცოტნე ივანიშვილმა გააკეთა.

როგორც ჭადრაკის ფედერაციაში აღნიშნავენ, უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში გავრცელებული პრაქტიკაა პირველი სვლის გაკეთების ტრადიცია, ხოლო რაც შეეხება ცოტნე ივანიშვილს, ფედერაციის განცხადებით, ის წლებია ჭადრაკით არის დაკავებული და საერთაშორისო საჭადრაკო პლატფორმის რეიტინგში 2200-მდე ქულით არის წარმოდგენილი.

„უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში გავრცელებული პრაქტიკაა პირველი სვლის გაკეთების ტრადიცია. ცოტნე ივანიშვილი წლების განმავლობაში ინტენსიურად მეცადინეობს ჭადრაკში საერთაშორისო დიდოსტატის დახმარებით და მისი მოქმედი რეიტინგი საერთაშორისო საჭადრაკო პლატფორმაზე „ცჰესს.ცომ“ არის 2200-მდე“, – ნათქვამია ჭადრაკის ფედერაციის განმარტებაში.

არასოდეს მიიღოთ შხაპი ჭექა-ქუხილის დროს

გაერთიანებული სამეფოს მეტეოროლოგიურ სამსახურს გამოცემული აქვს „ჭექა-ქუხილის ყვითელი გაფრთხილებები“, რომლებშიც წარმოჩენილია ხშირი ჭექა-ქუხილის პოტენციური საფრთხეები.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისთვის მეხის დაცემის შანსი მცირეა, მაინც მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ ვიყოთ ამ მოვლენის დროს უსაფრთხოდ. ყოველწლიურად, მსოფლიოში მეხის დაცემის შედეგად 24 000 ადამიანი იღუპება, 240 000 კი სხეულის დაზიანებებს იღებს.

ჭექა-ქუხილის უსაფრთხოების საბაზისო ნორმები უმეტესობამ იცის; მაგალითად, რომ არ უნდა შევეფაროთ ხის ქვეშ ან არ უნდა დავდგეთ ფანჯარასთან ახლოს, არ ვისაუბროთ ხაზის ტელეფონით (მობილური უსაფრთხოა).

თუმცა, იცოდით, რომ ჭექა-ქუხილის დროს უნდა მოერიდოთ შხაპის მიღებას, აბაზანას ან ჭურჭლის დარეცხვას?

ყველაზე სასარგებლო რჩევა ჭექა-ქუხილის დროს არის: შედით დახურულ შენობაში. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეხისგან იქაც ბოლომდე დაცული ხართ. არსებობს გარკვეული აქტივობები დახურულ შენობაში, რომლებიც თითქმის ისეთივე სარისკოა, როგორც ჭექა-ქუხილში გარეთ დგომა.

თუ გარეთ სადმე აბაზანაში არ ზიხართ ან არ განვიმთ, მეხის დაცემის შანსი უკიდურესად დაბალია. მაგრამ თუ მეხი თქვენს სახლს დაეცემა, ელექტროენერგია შეიძლება მიწისკენ მინიმალური წინააღმდეგობის გზას გაუყვეს.

ლითონის მავთულები ან წყლის მილები ელექტროდენს მიწისკენ გაყოლის მოსახერხებელ, გამტარ გზას სთავაზობს.

შხაპი ორივე ამ ფაქტორს უზრუნველყოფს (წყალი და ლითონი), რის გამოც, ის ელექტროდენის გავლისთვის იდეალური გზაა.

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი მოქალაქეებს მკაცრად ურჩევს, მეხის დაცემის რისკის შესამცირებლად, ჭექა-ქუხილის დროს თავი აარიდონ წყალთან ყოველგვარ საქმიანობას, მათ შორის რეცხვას.

ჭექა-ქუხილის დროს არსებობს სხვა რისკებიც. შეიძლება ვერც იფიქროთ, მაგრამ ერთ-ერთია ბეტონის კედელზე მიყრდნობა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ბეტონი ელექტროგამტარი არ არის, მასში ჩაშენებულია ლითონის არმატურა, რომელშიც შეიძლება მეხმა გაიაროს.

ასევე მოერიდეთ დენის წყაროში ჩართული ნებისმიერი რამის გამოყენებას (კომპიუტერი, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და ა. შ.), რადგან ნებისმიერი მათგანი შეიძლება მეხისთვის გამტარი აღმოჩნდეს.

როგორც წესი, თუ ქუხილის ხმა გესმით, მაშინ ელვასთან საკმარისად ახლოს ხართ, რომ მეხი მოგწვდეთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ წვიმს.

ელვა შეიძლება წარმოიქმნას მისი მშობელი შტორმისგან 16 კმ მანძილზეც კი.

ბოლო ქუხილიდან დაახლოებით საათნახევრის შემდეგ, შეგიძლიათ შხაპის მიღება მშვიდად გააგრძელოთ. როგორც წესი, ჭექა-ქუხილს დიდი ელვის შენახვა ბოლოსკენ სჩვევია

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **შპს „ჯორჯიან ცემენტ გრუპის“ მიერ კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. აღაიანში ცემენტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტი**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 10 სექტემბერი, 12:00 საათი, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. აღაიანის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.**

საჯარო განხილვა ღია. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 20 აგვისტოს. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მიერ მდ. სუფსაზე 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის „სურები 2 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაცია**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 16 სექტემბერი, 16:00 საათი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო სურების ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

საჯარო განხილვა ღია. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 19 აგვისტო. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

სამეგრელოში ფოლკლორული ექსპედიცია დასრულდა!

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინფორმაციით, 19 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში განხორციელდა საექსპედიციო, საველე-კვლევითი სამუშაოები.

„სამუშაოებში, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელ **ეთერ თათარაიძესთან** და სალოტბარო სკოლების შემოქმედებითი მიმართულების ხელმძღვანელ **ლიკა ლიპარტელიანთან** ერთად, ჩაერთნენ ხონის, სამტრედიის, კასპის, ზუგდიდის, ფოთის, ქარელის, თელავის, ზესტაფონის, გორის, წალენჯიხისა და საჩხერის სალოტბარო სკოლების უფროსკლასელები (სულ 12 მოსწავლე).

ასევე ექსპედიციაში ჩაერთო მოწვეული სპეციალისტი **ნანა აგულაძე.** მოსწავლეები შეირჩნენ მათი პედაგოგების რეკომენდაციით, მოზარდთა სურვილის, ინტერესებისა და მისწრაფებათა გათვალისწინებით.

სალოტბარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით ეს პირველი ექსპედიციაა, სადაც ახალგაზრდებმა პირადად გაიცნეს ეთნოფორები, უშუალოდ ჩაერთნენ სამუშაო პროცესში, გამოიმუშავეს საველე-კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევები, მიიღეს, გაიღრმავეს თეორიულ და პრაქტიკული ცოდნა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ექსპედიციის ფოტო, აუდიო და ვიდეოფიქსაცია. აღნიშნული მასალა განთავსდება ფოლკლორის ცენტრის არქივში“.

„ტბათანობა“ ახმეტაში

ახმეტის მუნიციპალიტეტში „ტბათანობა-2024“ გაიმართა. ტრადიციად ქცეული ფესტივალი ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ალპურ მთებს შორის ფერდობზე მოეწყო, სადაც გაიმართა ადგილობრივი ანსამბლების კონცერტები, ხელნაკეთი ნივთებისა და აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა. ასევე ადგილზე მომზადდა ტრადიციული თუშური კერძები.

ღონისძიებაზე საპატიო ტბათანელიც გამოავლინეს.

„ტბათანობას“ მესამე წელია, ხელისუფლებასთან ერთად თუშეთის სათემო საბჭო მართავს,რაც მიზნად ისახავს სოფლის პოპულარიზაციასა და ტურიზმის განვითარებას. უახლოეს თვეებში დაგეგმილია ტბათანისთვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭება და განშენიანების გეგმის შემუშავება,რაც ხელს შეუწყობს ეკო სოფლის გაშენებას.

კალიფორნიაში მოთოვა

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში ზაფხულისთვის უჩვეულო მოვლენა მოხდა – პოპულარულ სათხილამურო კურორტზე, ტაჰოს ტბაზე, თოვლი მოვიდა, – ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

BBC-ის ცნობით, ეს 2004 წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როდესაც ტბაზე აგვისტოში მოთოვა. გამოცემა აღნიშნავს, რომ სულ რამდენიმე დღის წინ ტბაზე მზიანი ამინდი და სიცხე იყო.

გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური სამუშაოები გრძელდება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური სამუშაოები გრძელდება.

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია – ა(ა)იპ „არქეოლოგიური ასოციაცია“.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობით კასპის რაიონის სოფლების – იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდ. ლეხურის მარჯვენა ნაპირთან წამომართულ გრაკლიან გორაზე უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური სამუშაოები გრძელდება.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად გამოყო 50 000 ლარი.

სამუშაოებში აქტიურად არის ჩართული ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კერძოდ, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი.

ინფორმაციისთვის:

გრაკლიანი გორა უიშვიათესი არქეოლოგიური ძეგლია, სადაც აღმოჩენილია 11 სხვადასხვა პერიოდის კულტურული ნაშთები ქვის ხანიდან (დმანისის სინქრონული ნაშთები) ქრისტიანობამდე.

გრაკლიან გორაზე გაკეთდა საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ინტელექტუალური აღმოჩენა – გაითხარა ძვ. წ. X საუკუნის წარწერებიანი ტაძარი. ეს არის საქართველოში უძველესი წარწერები. ამ აღმოჩენამ რადიკალურად შეცვალა ქართული სახელმწიფოებრიობის, კულტურისა და ქვეყნის ინტელექტუალური პროგრესის შესახებ წარმოდგენა და საქართველო უდიდესი ცივილიზაციების გვერდით დააყენა.

სულგუნი 100 საუკეთესოთა შორისაა!

გავლენიანმა კულინარიულმა პლატფორმა TasteAtlas-მა 2024 წლის TOP 100 ყველის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროდუქტთან ერთად სულგუნიც მოხვდა.

ქართულმა ყველმა რეიტინგში 52-ე ადგილი დაიკავა.

ამასთან, შეგროლილი ყველის კატეგორიაში სულგუნი მე-3 ადგილს იკავებს.

TasteAtlas-ის ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ რეიტინგი 1378 დასახელების ყველისგან, 36500-ზე მეტი მომხმარებლის შეფასებით შედგა.

ლონდონში კარიბული კარნავალი ხოცვა-ჟლეტით დამთავრდა

სამი დაშავებულის მდგომარეობა კრიტიკულია, მათ შორის არის 32 წლის ქალი, რომელიც კარნავალზე პატარა ბავშვით იყო მისული. ეჭვმიტანილთა დაკავების შესახებ პოლიციის ანგარიშში არაფერია ნათქვამი.

სხვადასხვა სახის ჭრილობა მიიღო 53-მა პოლიციელმა. მთლიანობაში დღესასწაულის განმავლობაში დააკავეს 330 ადამიანი. მათ ძირითადად ბრალი წაუყენეს იარაღისა და ნარკოტიკების შენახვაში, პოლიციისა და სასწრაფო დახმარების სამსახურის თანამშრომლებზე თავდასხმაში, ჩხუბსა და სექსუალიზებულ ძალადობაში.

„ჩვენ დავიღალეთ ყოველწლიურად ერთი და იმავე სიტყვების გამეორებით. ჩვენ დავიღალეთ ოჯახებისათვის იმის თქმით, რომ მათმა ახლობლებმა სერიოზული ან კიდევ უფრო უარესი დაზიანებები მიიღეს. ჩვენ დავიღალეთ კარნავალზე დანაშაულის დანახვით“, – ნათქვამია პოლიციის განცხადებაში, რომელიც ფესტივალის პირველი დღის შემდეგ გაკეთდა.

აფრო-კარიბული კულტურის კარნავალი, რომელსაც რასობრივი კონფლიქტების შეწყვეტის მიზნით ჩაეყარა საფუძველი, 1966 წლიდან ტარდება ლონდონის ნოტინგ-ჰილის უბანში. ის ყოველწლიურად დაახლოებით ორ მილიონ ადამიანს იზიდავს და მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ქუჩის ფესტივალად ითვლება. წელს კარნავალი 25-26 აგვისტოს გაიმართა.

ივლისის ბოლოს ბრიტანეთში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო მას შემდეგ, რაც 29 ივლისს დანით შეიარაღებულმა პირმა ბავშვთა ცეკვის კლუბში სამი გოგო მოკლა და კიდევ რამდენიმე ბავშვი დაჭრა. პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი 17 წლის ბიჭი დააკავა.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ფბ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.
დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6998; ევრო - 3.0159;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5615;
100 რუბლი - 2.9390; თურქული ლირა - 0.0794;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5890;
1000 სომხური დრამი - 6.9604.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 30 აგვისტოს